№ 141 1877—1905 № 141

პარასკევი, 12 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

სავაჟო პროგიმნაზია ავლაბარში

ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდან ავლაბარში გაიხსნება სავაჟო პროგიმნაზია; ამჟამად იხსნება ორი მოსამზადებელი, I და II ძირითადი კლასები. ვისაც სურს მიაბაროს სასწავლებლად თავისი ბავშვი ამ პროგიმნაზიაში, უნდა მიჰმართოს თხოვნით და თან დოკუმენტები წარუდგინოს ინსპექტორს. თხოვნა მიიღება ამ თვის 11 რიცხვიდან, კვირა-უქმე დღეებს გარდა, ყოველ დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე ავლაბარში, ზუგლაროვის ქუჩაზე, საქალაქო სკოლაში (ადამურადოვის სახლში). სწავლის დაწყების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—2)

საბჭო ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების ,,შრომა''-სი ამით აცხადებს, რომ სწავლა საზოგადოების სამეურნეო სკოლაში განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამ სამოსწავლო წელში გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ას ოცდა ათი მანათი (130 მ.) და გარედან მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანათი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა იქმნეს დაწერილი სკოლის გამგის სახელობაზე.—ფოსტის ადრესი: Секретарю совѣта общества „Шрома" І. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ гор. Кутаисъ. Контора Нотаріюса Анджапаридзе. (7—1)

ახალი წიგნი ——
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება".
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა", ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია".
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. კ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** **Тифлисъ, противъ** памятн. Воронцову. წლ.,

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გორონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ხალხის წარმომადგენლობა და განაპირა ქვეყნები

როგორი იქმნება ხალხის წარმომადგენლობა შიდა-რუსეთში ეს უკვე ყველასათვის ცხადია.

18 თებერვალს თვით მთავრობამ გამოაცხადა, ხალხმა უნდა გამიწიოსო თანამშრომლობა სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში. ხალხმა ათას სხვადასხვა რეზოლუციასა და პრესსაშიაც გამოსთქვა გადაჭრილი სურვილი, ჩამოიშოროს ბიუროკრატია და მის ადგილას თავისი წარმომადგენლები გაბატონოს სახელმწიფოში...

ვინც იცოდა, რომ სახელმწიფო წესწყობილება საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის გამომხატველია ყოველთვის, და ვინც ხედავდა, რომ რუსეთში ხალხის საერთო მოძრაობა ჯერ გარკვეულ ორგანიზაციას მოკლებულია, რომ ეს ძალები ხშირად მხოლოდ ერთმანეთს ებრძვიან, ამისთვის იმ თავითვე ცხადი იყო, **რანაირ** თანამშრომლობას **დააკისრებდა** მთავრობა საზოგადოებას, **როგორი** იქმნებოდა ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლების უფლება.

მოლოდინი გამართლდა,—თვითპყრობელ ხელმწიფისაგან ბოძებული წარმომადგენლობა—სათათბიროა, სადაც წევრებს, ხალხის წარმომადგენლებს ეწყალობებათ უფლება გამოსთქვან თავიანთი შეხედულება იმ საქმეების შესახებ, რაზედაც მათ დაეკითხება მთავრობა.

და ამ სათათბიროში წარმომადგენლების გაგზავნა მხოლოდ იმათ შეუძლიანთ, ვისაც აბადია დიდძალი საცხოვრებელი. მოსკოვში, მაგ., ერთ მილიონ მცხოვრებლებზე მხოლოდ 12 ათას კაცს აქვს არჩევის უფლება, პეტერბურგში 9 ათასს და საზოგადოდ ყოველ ას მცხოვრებზე მხოლოდ ერთს ენიჭება უფლება მიიღოს მიანაწილეობა წარმომადგენელთა არჩევის საქმეში, ისე რომ ხალხის მხოლოდ ერთი მეასედი ნაწილი ირჩევს წარმომადგენლებს სათათბიროში.

როგორ მიეგება შიდა-რუსეთის ხალხი ამნაირ წარმომადგენლობას, ჯერ არ ვიცით. ყოვლად დაბეჩავებულმა, მონობას და მორჩილებას ჩვეულმა საზოგადოებამ რა უნდა სთქვას, თუ არ გასწყვიტა სრულებით კავშირი ძველ ტრადიციებთან და ამ ტრადიციებთან კომპრომისების გზას თუ დაადგა...

მთავრობა აცხადებს გარკვევით, რომ შიდა-რუსეთი და განაპირა ადგილები თანასწორ უფლებიანი არ არიან და არც უნდა იყვნენ შემდეგში. მთავრობის **წყალობა** მხოლოდ შიდა-გუბერნიებს ეხება, განაპირა ქვეყნების წარმომადგენლობა კი ჯერ არ არის გამოცხადებული. ამ წარმომადგენლობისთვის წესების შესამუშავებლად კიდევ ახალი კომისიაა დაარსებული.

ამნაირად ჯერ არ ვიცით, ჩვენში, როგორც განაპირა ადგილას, **რა სახის** იქმნება წარმომადგენლობა. ვიცით მხოლოდ, რომ საზოგადოებრივ ძალების ურთიერთობა ჩვენში და საზოგადოდ ყველა განაპირა ქვეყანაში სხვა არის, ვიდრე შიდა-რუსეთში, რომ განაპირა ქვეყნებში ხალხი უფრო გამსჭვალულია მისწრაფებით იდეალისკენ და მეტ მხნეობას და გამოცდილებასაც იჩენს ამ იდეალის მიღწევის საქმეში.

ამიტომ საფიქრებელია, რომ ის, რაც შიდა რუსეთში გამოდგება, არ გამოდგეს ჩვენში და ეს უნდა იცოდნენ უთუოდ იმათ, ვისაც დავალებული აქვს განაპირა ადგილებისთვის საწარმომადგენლო წესების შემუშავება.

ამ ბრალის თავიდან ასაცილებლად კავკასიასა და სხვა განაპირა ქვეყნებში წარმომადგენლობა უნდა შემოვიდეს სხვა სახის, ვიდრე ის, რომელიც შემოდის ახლა შიდა-რუსეთში. და ყველა, ვინც სცდილობს ხალხის ხმა ჩააჩუმოს, ის თანასწორად მტრობს ხალხსაც და მთავრობასაც, ვინაიდან ამითი აუცილებლად ჰხდის მთავრობის შეცდომას.

ჯერ კიდევ დრო არის, განაპირა ადგილებისთვის ხალხის სურვილების შესაფერი წარმომადგენლობა შემოვიდეს, ჯერ კიდევ შეუძლიან სოლსკის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას განაპირა ქვეყნების მცხოვრებლებს მიანიჭოს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ, საარჩევნო უფლებაზე დამყარებული ხალხის წარმომადგენლობა...

ჯერ კიდევ დრო არის...

ი. ლ—ძე.

ეროვნება და მშრომელი ხალხი

ამ ერთი თვის წინად დავბეჭდეთ წერილები ნორვეგიაში მომხდარ მშვიდობიან ეროვნულ რევოლუციის შესახებ. განსაკუთრებით გვაინტერესებდა ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პოზიცია ამ ისტორიულ ფაქტისადმი. ჩვენ ციტატებით დავანახვეთ მკითხველს, რომ ნორვეგიის მუშათა პარტია დიდის აღტაცებით და თანაგრძნობით მიეგება შვეციისაგან განშორებას, და ვამბობდით, რომ ასეთი ქცევით მან დაამტკიცა, რომ პროლეტარიატს აქვს ნაციონალური გრძნობა და რომ ის ეროვნულ ნიადაგზე მტკიცედ სდგას. იქვე ვუმატებდით: ეს ადვილად გასაგები ფაქტი მხოლოდ დოგმით დაბრმავებულთ გააკვირვებს და, იქნებ, მათ არც დაიჯერონო.

ჩვენი მოლოდინი გამართლდა. თუმცა საჯაროდ გამოქვეყნებულ რეზოლუციებზე ვამყარებდით ჩვენს მსჯელობას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჩვენში აღმოჩნდა ისეთი პირი, რომელმაც ეჭვის თვალით შეჰხედა ჩვენ-მიერ მოყვანილ ფაქტებს და ჩვენი დასკვნის გაქარწყლებაც მოინდომა. რადგან აღძრული საკითხი ქართველ ერის ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო საინტერესოდ მიგვაჩნია და რადგან საუკეთესო და იშვიათი კონკრეტიული მაგალითი გვეძლევა დავანახვოთ ქართველ საზოგადოებას საუცხოვო ნიმუში უცნაურ მიმართულებისა, ამიტომ საჭიროდ ვსთვლით პასუხი გავსცეთ ჩვენს მოკამათეს.

ბ-ნ ფ. მახარაძეს არ სჯერა, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დიდის ენტუზიაზმით მიეგება ნორვეგიის პარლამენტის რევოლუციონურ დადგენილებას შესახებ უნიის სამუდამოდ მოსპობისა. თავისს ეჭვს ბ-ნი მახარაძე ამყარებს იმ მისთვის გაუგებარ ფაქტზე, რომ ნორვეგიის პროლეტარიატმა თავის კრებას მოქალაქეთა კრება უწოდა. ,,თუ მკითხველი სრულიად გულუბრყვილო არ არის, იგი ადვილად მიხვდება, რომ აქ, ან რაღაც თვალმაქცობაა, ან სრული გაუგებრობა'',—აღშფოთებით აცხადებს ჩვენი მოკამათე (იხ. გაზ. „მოგზაურ." № 24). დავამშვიდებთ ბ-ნ მახარაძეს: აქ არავითარი თვალთმაქცობა არ არის,—არის მხოლოდ სრული გაუგებრობა და ისიც ბ-ნ მახარაძის მხრივ. ჩვენი მოკამათის ეჭვი ყოვლად უსაფუძვლოა, რადგან ცხადია, ნორვეგიის მუშათა პარტიას სიტყვა «მოქალაქე» უფრო ფართოდ ესმის, ვიდრე გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, რომელსაც სიტყვა «მოქალაქე» (Bürger) და „გამყვლეფი, მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტი" ერთ და იმავე ცნების გამომხატველად მიაჩნია. ასეთი აზრი არ შეესაბამება ამ სიტყვის იურიდიულ მნიშვნელობას და არც არავითარ შთაბეჭდილებას ახდენს. თვით გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნიც კარგად გრძნობენ მოქალაქეთაგან მუშის გამოყოფვის სრულ უმნიშვნელობას და თუ ასეთი დაპირდაპირება (მუშის და მოქალაქისა) დღესაც ხმარებაშია, ეს უნდა მივაწეროთ უფრო პარტიულ ტრადიციისა და ცრუმორწმუნოების ძალას, ვიდრე პრინციპიალურ შეხედულებას (საფრანგეთის სოციალისტური პარტიები, რომელნიც საერთოდ უფრო თავისუფალნი არიან დოგმებისაგან, უშიშრად ხმარობენ სიტყვას Citoyen, რაც ჩვენებურ მოქალაქეს უდრის). ჩვენს მოკამათეს არავითარი საფუძველი არა ჰქონდა მხოლოდ ამ მიზეზით ეჭვი შეეტანა ჩვენის სიტყვების სიმართლეში.

მაგრამ დავეთანხმოთ, რომ სოციალ-დემოკრატია მართლაც ,,ყოველთვის გამოყოფილია მცხოვრებთა დანარჩენ ნაწილებისაგან''. აი, რას ვკითხულობთ ნორვეგიელთა კრების შესახებ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში: ,,ქრისტიანიის სოციალ-დემოკრატიამ ერთ საჯარო კრებაზე გამოსთქვა თავისი აზრი მომხდარ ფაქტის შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლუცია'' (მოყვანილია თვით რეზოლიუცია; იხ. გაზ. ,,Yorwaerts'', № 135). რას იტყვის ამის შემდეგ ბ-ნი მახარაძე? დაგვეთანხმება თუ არა, რომ ის კრება ,,შეგნებულ მუშების, ე. ი. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის'' კრება იყო (ავტორის აზრით, შეგნებული მუშა უთუოდ სოციალ-დემოკრატი უნდა იყოს. ფანატიზმიც ასეთი უნდა! მაგრამ ასეთი უცნაური აზრი ამჟამათ არ გვაინტერესებს).

ჩვენ გვსურს სამუდამოდ დავარწმუნოთ ბ ნი მახარაძე და მისი ამხანაგები, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია აღფრთოვანებით შეხვდა შვიდ ივნისს მომხდარ ეროვნულ რევოლუციას და ამიტომაც მოვიყვანთ კიდევ სხვა ციტატებს. ,,დამახასიათებელი და ნორვეგიისათვის ხელსაყრელი გარემოება არის ის, რომ ამ ქვეყანაში ყველა—დაწყებული უკიდურეს მემარჯვენეთაგან უკიდურესს მემარცხნეებით გათავებული—სავსებით შეთანხმებულია, ნაციონალურ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მთელი ძალღონე მოანდომონ'', სწერს ,,შეგნებულ გერმანულ სოციალ დემოკრატიულ პარტიის'' ცენტრალური ორგანო (იხ. „Vorwaerts" № 136). ,,სოციალ-დემოკრატია სავსებით თანახმაა სხვა პარტიებთან ამ კითხვაში და აღუთქვა მთავრობას ლოიალური დახმარება'' (იხ. იგივე ორგანო, № 135).

მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ნორვეგიის მშრომელი ხალხი მართლაც თანაგრძნობით შეხვედრია სეპარატიულ აქტს. ორი აზრის არსებობა ამ შემთხვევაში წარმოუდგენელია, მაგრამ ბ-ნი მახარაძე მარტო ეჭვით არ კმაყოფილდება. მას ვერ გაუგია, თუ რისთვის ვლაპარაკობთ ჩვენ ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპის გამარჯვებაზე. ,,თუ ნორვეგიელი ხალხი დაჩაგრული არ იყო, რადასთვის იბრძოდა, ან რა საჭირო იყო მისთვის გამარჯვება",—გაოცებით გვეკითხება ბ ნი ავტორი. ვეცდებით შევაგნებინოთ მას, თუ რანაირი გამარჯვება გვქონდა ჩვენ სახეში, თუმცა ვეჭვობთ, რომ პარტიულ დოქტრინარიზმით შეპყრობილმა ადამიანმა გაიგოს ის, რის გაგებაც დოქტრინის ღალატი იქნებოდა. მაგრამ მაინც ვცადოთ.

მოგეხსენებათ, ნორვეგია წინათაც დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა, შვეციასთან აერთებდა მხოლოდ საერთო მეფე და საერთო საგარეო პოლიტიკა. საგარეო საქმეთა გამგეობა შვეციამ იგდო თავის ხელში, რაც თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა. ნორვეგიამაც მოინდომა შელახულ უფლების აღდგენა და საკუთარ ელჩთა დანიშვნის უფლების მოპოება, მაგრამ, რადგან მეფემ სტორტინგის შესაფერი დადგენილებანი არ დაამტკიცა, კავშირი შვეციასთან სამუდამოდ გაწყვეტილ იქმნა. აი, ამ დადგენილებაში დავინახეთ ჩვენ (და განა მარტო ჩვენ?!) ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპის გამარჯვება. შვეცია-ნორვეგიაში არ არსებობდა ეროვნული საკითხი იმ ბარბაროსულის ფორმით, როგორც ეს სხვაგანაა, მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ ნორვეგიელთ უფრო ნაზი ეროვნული გრძნობა ჰქონიათ, ვიდრე ზოგიერთ სექტანტებს. ნორვეგიელთა ეროვნული გრძნობა იყო შელახული და ეს კი საკმარისი იყო, რომ ნორვეგიის ერი სეპარატიზმის მომხრე გამხდარიყო (საეკონომიო პოლიტიკის სხვადასხვაობას ამ კონფლიქტის ასეთ დაბოლოვებაში დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორც ამას ფიქრობს ჩვენი გულუბრყვილო მარქსისტი).

ასეთი აზრისაა ყველა, ვინც ნორვეგიელთა პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას დაახლოვებით გასცნობია. ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ ასეთსავე აზრს ემხრობა მარქსისტული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთი Yorwarets (იხ. „მოგზ." № 132), რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: ის გარემოება, რომელმაც გამოიწვია უნიის მოსპობა, სახელდობრ კლასთა დანიშვნის უფლების მოპოების სურვილი, პირველ შეხედვით არც ისე დიდმნიშვნელოვანია, რომ ასეთი შედეგი გამოიწვიოს. მაგრამ ნორვეგიელთ დიდი ხანია **არა მოსათმენ** გარემოებად მიაჩნდათ, რომ მათ ინტერესებს უცხოეთში იცავდნენ პირნი, რომელნიც თავის თავს შვედებად გრძნობდნენ. შვეციის მთავრობას რომ თავის დროზე დაეთმო და შეძლება მიეცა ნორვეგიელთათვის საკუთარი ელჩები ჰყოლოდათ, აშკარაა, რომ ეს შვეციის ინტერესებსაც არ ავნებდა".

„თუ ვინმემ არ იცოდა გამოცდილებით, ის შვეცია-ნორვეგიის უნიის გაწყვეტაში საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს ჰპოვებს, თუ რა ძალა აქვს **ნაციონალურ გრძნობას**, თუ ის შეკავშირებულია ხალხის თვითგამორკვევის უფლების თავისუფალ იდეალებთან. ნორვეგიის ერი, 1814 წელს ნივთიერად ღარიბი და სულიერად უმნიშვნელო, მას შემდეგ უნიის დახმარებით ყოველ მხრივ საკვირველად გაიზარდა. ორთქლმავლით მიმოსვლა, ვაჭრობა და ინდუსტრია შეადგენს მატერიალურ საფუძველს იმ კულტურისა, რომლის დიდება მსოფლიო პოეტებთან ერთად მთელ ქვეყნიერებას მოედო. და ამ ერს, რომელიც ასე დარწმუნებულია თავის ძალაში, რომელსაც ჩრდილოეთში გაკვირვებით და შურიანის ირონიით „მოწინავე ერს" უწოდებენ, ასეთ ერს შეეძლო უცხოეთთან დამოკიდებულება ჰქონოდა მხოლოდ შვედელ მინისტრთა შემწეობით და დროგამოშვებით უნდა ეთხოვა მეზობელ ერისაგან ნაციონალურ მთავრად მეფე, რომელსაც, რასაკვირველია, არ შეეძლო ეგრძნო და ეფიქრა როგორც ნორვეგიელს, ძალიანაც რომ მოენდომებინა, თავის აუსრულებელ მოვალეობის სინდისიერად შესრულება"... (იხ. „სოციალისტიშე მონატსჰეფტ", № VIII, გვ. 657).

ჩვენს მოკამათეს, რომელსაც ეკონომიური ფაქტორის მეტი არა სწამს-რა, ძლიერ გაუკვირდება, როდესაც გაიგებს, რომ ნორვეგიელნი დაჟინებით თხოულობდნენ, რომ საერთო მეფეს ნორვეგიაში ოფიციალურად იხსენიებდნენ ნორვეგია-შვეციის მეფედ და არა შვეცია-ნორვეგიისა, როგორც ეს უნიის დროს იყო. აი, რა წვრილმან რამეს შეუძლია აადელვოს ეროვნული გრძნობა! ეკონომიურ ფაქტორის ძლიერებით დაბრმავებულნი ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებენ, მაგრამ, საბედნიეროდ, საკამათო საგანს ეს მუხლი არ შეადგენს. ნორვეგია in corpore თხოულობდა საგარეო პოლიტიკაშიაც სრულ გათანასწორებას და ამ ძვირფას პრინციპის დასაცველად უნიის გაწყვეტასაც არ შეუშინდა. აი, ამ ფაქტში ვხედავთ ეროვნულ თვითთგამორკვევის იდეის გამარჯვებას და არა საკუთარი მეფის მოწვევაში, როგორც ეს ბატონ ფილიპე მახარაძეს მოსჩვენებია. პირიქით, ნორვეგიის ერი რესპუბლიკანურ წყობილების მომხრეა, როგორც ეს წინადაც აღნიშნული გვქონდა, და თუ, მიუხედავად ამისა, სტორტინგმა მეფის მოწვევა ამჯობინა, ეს მოხდა ადვილად გასაგებ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო. ეს იყო არა დიდ-მნიშვნელოვანი კომპრომისსი ევროპის სხვა სახელმწიფოთა წინაშე, რომელთაც ადვილად შეეძლოთ სკანდინავიაში მომხდარ ცვლილების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებინათ. მიუხედავად ამ არა-სასიამოვნო კომპრომისსისა, ნორვეგიის ერი en masse მაინც დიდის აღტაცებით მიეგება შვიდ ივნისს მომხდარ ისტორიულ ფაქტს, რადგან მის ნაზ ნაციონალურ გრძნობას არავითარ ოპეკის ატანა არ შეეძლო, რაც მცირე და უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო იგი. სრულ ეროვნულ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში დაინახა ევროპის დემოკრატიამ ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპის გამარჯვება და, თუ ბ-ნი მახარაძე მაინც თავისას გაიმეორებს, მაშინ ჩვენ მას ვეღარ ვუშველით...

ჩვენ წინანდელ წერილში გავაცანით მკითხველს შვეცია-ნორვეგიის სოციალ დემოკრატიის შეხედულება ეროვნულ საკითხზე, რომლის თანახმად ეროვნული განცალკევება და ფართო ეროვნულ ავტონომიის აღიარება საუკეთესო პრაქტიკული საშუალებაა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა „კლასობრივ'' თვითცნობიერების გაღვიძებისათვის და მათი დაახლოვებისათვის. მათის აზრით, ეროვნული ორგანიზაცია სრულებით არ მოასწავებს კარჩაკეტილ ცხოვრებას; ნაციონალურ ავტონომიის აღიარება არ ეწინააღმდეგება „ინტერესთა სოლიდარობის" პრინციპს. ეს პრიციპიალური მოსაზრება მოგვყავდა ჩვენ, როგორც მთავარი არგუმენტი ქართველ დოქტრინერების მიერ გამოგონილ ზღაპრების წინააღმდეგ და, საკვირველია, იმ მუხლს ჩვენი მოკამათე სრულებით არ შეხებია.

ამნაირად ჩვენ სავსებით დავარღვიეთ ბ-ნ მახარაძის გულუბრყვილო სოფიზმები და თამამად შეგვიძლია უკანვე დავუბრუნოთ ბრალდება თვალთმაქცობაში. მას დარჩენია მხოლოდ სთქვას, ნორვეგიის მშრომელი ხალხი შეუგნებელი არისო. მაგრამ აქაც პასუხის გაცემა ადვილია: დემოკრატიულ ნორვეგიაში საზოგადოების წოდებრივი დაყოფა ამ ასიოდე წლის წინად მოსპობილ იქმნა და ეს ქვეყანა ამჟამად ყოველ მხრივ მაღლა სდგას საქართველოზე და ნორვეგიელებს ჩვენთვის ბევრ რამის სწავლება შეუძლიათ.

დაგვრჩენია მხოლოდ ვიკითხოთ, რამ დააბრმავა ასე ძლიერ ჩვენი მოკამათე, რომ მან ასეთ უბრალო მოვლენის გაგება ვერ შესძლო? ამ კითხვის პასუხს მკითხველი შემდეგ წერილში ჰპოვებს.

ივ. რამიშვილი

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

10 აგვისტო.

ტამბოვი, 10 აგვისტო. ორლოვის ბანკის ხაზინადარმა გაიტაცა 8,000 მანათი და მიიმალა.

პეტერბურგი, 10 აგვისტო. დღეს, სანამ საბჭოს კრება დაიწყებოდა, 6 აგვისტოს უმაღლესის მანიფესტის გამო, გარდასწდილ იქმნა პარაკლისი. შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: მოწყალებისთვის უქვეშევრდომილესი მადლობა შესწიროს ხელმწიფეს და შუამდგომლობა აღძრას, რომ სწორი არჩევნებისათვის ხალხს მიენიჭოს თავისუფლება სიტყვისა, კრებებისა და პრესსისა.

პარიჟი, 10 აგვისტო. ბრესტის საზღვაო არსენალის 4000 მუშა შეიკრიბა, პრინციპიალურად საერთო გაფიცვა აღიარა და იმ კრედიტის დანაწილების შეცვლა მოითხოვა, რომელიც სამუშაო ქირაზე იყო დანიშნული.

სარატოვი, 10 აგვისტო. გუბერნატორმა საქალაქო დებულების მე-83-ე მუხლის ძალით ქალაქის საბჭოს დადგენილების სისრულეში მოყვანა აკრძალა.

აჯიკენტი, 9 აგვისტო. ჯევანშირის მაზრაში ეს მეორე დღეა სომხებსა და თათრებს შუა შეტაკება და სროლაა. მოკლულია 9 კაცი. 10 აგვისტოს მოვიდა ცნობა, რომ შუშის მაზრაშიაც სომხებსა და თათრებს შუა ურთ-ერთობა ძალიან გამწვავდა. არეულობის თავიდან ასაცილებლად სასტიკი ზომებია მიღებული.

მოსკოვი, 10 აგვისტო. უნივერსიტეტში 1800 თხოვნა შევიდა.

ოდესა, 10 აგვისტო. ნავთსადგურში რკინის გზის დამწვარი ესტოკადა განაახლეს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აგვისტო.

პორტსმუტი, 9 აგვისტო. შუაღამისას ვიტტემ მიიღო ვრცელი დეპეშა. მდივნები სხედან

და არჩევენ ამ დეპეშას. იაპონელები და რუსები ერთმანეთს ისე მტრულის თვალით აღარ უცქერიან. ერთ იაპონელის სიტყვით, ადვილი შესაძლებელია, რომ კონტრიბუციისა და სახალინის შესახებ მორიგება მოხდესო; ეჭვს გარეშეა, რომ იაპონელებმა ისეთი მოთხოვნილებანი შეიმუშავეს, რომელნიც რუსეთის ღირსებას არ ამცირებენ. იაპონელებს ზავი უნდათ და ყოველ საშუალებით სცდილობენ, რომ რუსეთმა მიიღოს ზავი. რუზველტი წინადადებას იძლევა, რომ რუსეთმა გამოისყიდოს სახალინი და ის ფული მისცეს, რასაც იაპონელები თხოულობენ. კონტრიბუციის შესახებ თუ რუსეთი და იაპონია ვერ მორიგდნენ, ამ საკითხს სამედიატორო სასამართლოს გადასცემენ.

პორტსმუტი, 10 აგვისტო. ამბობენ, რომ ბარონი კომურა დაეთანხმა რუზველტის წინადადებას და მზად არის დათმობის გზას დაადგეს. შეიძლება, რომ ამ კონფერენციაზე განხეთქილება არ მოუხდეთ. რუზველტის წინადადება იმგვარია, რომ იაპონიის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს და იმავე დროს შეძლებას აძლევს რუსეთს, მთელი ქვეყნის წინაშე აღიაროს, რომ იმან ერთი მტკაველი მიწა არ დაუთმო და სამხედრო კონტრიბუციაც არ გადაიხადა. მოკლედ ეს წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთი გამოისყიდის სახალინს, ანუ მის ნაწილს და მისცემს იმდენს, რამდენსაც, სამედიატორო სასამართლო გადასწყვეტს. შემდეგში ეს ფული იმ ფულთან ერთად, რომელსაც იაპონია ჩინეთისაგან მიიღებს მანჯურიის რკინის გზის სასყიდლად და რუსეთისაგან—ტყვეების შენახვაში, სრულიად დაჰფარავს იაპონიის სამხედრო ხარჯებს.

პორტსმუტი, 10 აგვისტო. დღეს დილით რწმუნებულნი შეიყარნენ სათათბიროდ, მაგრამ სხდომა გადასდეს. 12 საათსა და 15 წუთს ვიტტე და როზენი არსენალიდან გავიდნენ. არაოფიციალურად იუწყებიან, რომ სხდომები 13 აგვისტოსთვის გადაიდო.

ტოკიო, 10 აგვისტო. (,,დეილი ტელეგრაფი'') ვლადივოსტოკიდან გამოვიდნენ კონტრნაღმოსნები, თუმცა რამდენიმე საათის წინად იაპონიის ესკადრა ადგილებს ზვერავდა. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ პატარა გემების ბლოკადა შეუძლებელია. უსუმიატსუში აღმოაჩინეს რუსის ქვეითა და ცხენოსან ჯარის ერთი რაზმი ოთხის ზარბაზნით. 7 აგვისტოს რუსებმა იაპონელებს თოფები დაუშინეს, მაგრამ იაპონელებმა უკან დაახევინეს.

ვლადივოსტოკი, 10 აგვისტო. კორეიდან მოსული ხალხი უჩივის იაპონელთა სასტიკ მოპყრობას და მათ პროტექტორობიდან განთავისუფლების სურვილს აცხადებს. იმ კორეელებს, რომლებიც რუსეთს თანაუგრძნობენ, იაპონელები არჩობენ, როგორც ჯაშუშებს.

შანხაი, 10 აგვისტო. აქედან გავიდა საავადმყოფო გემი ,,მიუნხენი'', რომელმაც წაიყვანა პორტ-არტურში დაჭრილთა უკანასკნელი ჯგუფი, რიცხვით 500 კაცი.

სევასტოპოლი, 10 აგვისტო. მოვიდა სატრანსპორტო გემი ,,იუპიტერი'', რომელმაც ცუსიმის ბრძოლის დროს წრე გაარღვია და საიგონს მივიდა. ელიან ,,კოსტრომა''-ს, რომელიც ფეოდოსიაში სდგას. ამ გემებზე მრავალი ავადმყოფი და ცუსიმის ბრძოლაში დაჭრილი იმყოფება.

ნიუ-კესტლი, 10 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ კონფერენციის სხდომები კიდევ რამოდენიმე დღე გაგრძელდება. პეტერბურგის აზრის შედეგს განიხილავენო.

პორტსმუტი, 9 აგვისტო. ვიტტემ და როზენმა ლაურენსიდან (მასსაჩუსეტი) ექვსას რუსეთის ებრაელისაგან მიიღეს ადრესი, რომელშიაც გამოცხადებული იყო სურვილი, რომ რუსეთის რწმუნებულთა მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს და ზავი შეიკრას.

ნიუ იორკი, 10 აგვისტო. ირწმუნებიან, რომ დღეს დილით, როდესაც რწმუნებულნი შეიკრიბებიან, კომურა წარუდგენს რუზველტის წინადადებას სახალინის შესყიდვის შესახებ; თუ ვინიცობაა, ფასზე ვერ მორიგდებიან, მაშინ საქმე შეიძლება სამედიატორო სასამართლოს გარდაეცეს. ამ რიგად, სახალინში მიცემული ფული იმ ჯამთან ერთად, რომელსაც რუსეთი გადაიხდის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზასა და რუსეთის ტყვეების შენახვაზე, იმისთანა ჯამს შეადგენს, რომლითაც იაპონიას სამხედრო ხარჯი სავსებით შეუძლიან აინაზღაუროს. რაც უფრო ახლოვდება გადამწყვეტი მომენტი, მით უფრო რწმუნდებიან, რომ იაპონია ბევრს რამეს დაუთმობს, რადგანაც მას ზავის შეკვრა წინად ისე არასოდეს არა სდომებია, როგორც ახლა.

პორტსმუტი, 10 აგვისტო. დღევანდელი სხდომა შუადღის $12^1/_4$ საათზე დასრულდა. შემდეგი სხდომა შაბათისათვის დაინიშნა.

პარიზი, 10 აგვისტო. დღეს დილით, „მატენის“ კორესპონდენტს ულაპარაკია იპონიის ერთს რწმუნებულთან, რომელსაც, სხვათა შორის, უთქვამს: ძალიან კარგად ვიცი, რომ საფრანგეთს უფრო ძალიან უნდა ზავის ჩამოგდება, ვიდრე თვით რუსეთსა და იაპონიასაო. ჩვენ მზადა ვართ ყოველგვარ ზომიერებაზე, თუ რუსეთიც ძალიან არ გაჯიუტდაო; იაპონიას ზავის ჩამოგდება უნდა, მაგრამ სამედიატორო სასამართლოს და მესამე სახელმწიფოს ჩარევაზე კი არ დასთანხმდებაო.

ტოკიო, 9 აგვისტო. 4,000 კაცისაგან შემდგარი რუსის ქვეითა ჯარი, 7 აგვისტოს, კუმიაოძისთან გაჩნდა და სროლა აგვიტეხა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. მოვიგერეთ, აგრეთვე ის იერიშიც, რომელიც 500 რუსმა მარჯვენა ფრთეზე მოიტანა.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. პარიზიდან „ბირჟევ. ვედ.“-ს დეპეშით ატყობინებენ: „პტი პარიზიენს“ პორტსმუტიდან აუწყებენ, რომ იქ მშვიდობიანობის ჩამოგდება აღარავის სჯერაო. ამასვე იუწყებიან სხვა გაზეთების კორესპონდენტებიც პარიზის პრესსა მუსრს ავლებს გერმანიას ორპირ პოლიტიკისათვის (ნ. დ.).

პარიზიდან „რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ: ზავის ჩამოგდება შეუძლებელია. ცხადად სჩანს რომ მოლაპარაკებაში არავინ ჩაერევა. საფრანგეთისა და ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრები—რუვიე და ლანსდოუნი სხვაგან არიან წასულნი. არც გერმანიის უმაღლესი მთავრობაა ბერლინში. აქედან სჩანს, რომ ევროპამ მტკიცედ გადასწყვიტა რუსეთ-იაპონიის საქმეებში არ ჩაერიოს.

„ბირჟ. ვედ.“-ს ბერლინიდან ატყობინებენ: „საქმის მდგომარეობა უიმედოაო“ (რ.).

ვაშინგტონიდან მოსულ ოფიციალურ ცნობებიდან კი სჩანს, რომ ცოტა ვაჭრობის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ზავი აუცილებელი ხდება. ვაშინგტონის პრესსამ სახელმწიფო დეპარტამენტის მინდობილობით გამოაცხადა: „ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ კონტრიბუციისა და სახალინის დათმობის გამო მოლაპარაკება შესწყდეს. სანამ რუსეთი და იაპონია წარმომადგენლებს დანიშნავდნენ, ამერიკამ რუსეთს შეატყობინა იაპონიის პირობები, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ იაპონია მხოლოდ მაშინ ჩააგებს მახვილს ქარქაშში, როცა რუსეთი იაპონიას სახალინსაც დაუთმობს და კონტრიბუციასაც გადაუხდისო. რუსეთმა ხმა არ ამოიღო და ამ მუხლის განხილვაზე უარი არ განაცხადა, მაშასადამე, პრინციპიალურად თანახმა იყო, თორემ რაღად გზავნიდა ამერიკაში თავის წარმომადგენლებს? მას შემდეგ იაპონიამ იარაღით დაიპყრო სახალინი და, რასაკვირველია, ამ კუნძულს ხელიდან აღარ გაუშვებს. გარდა ამისა, იაპონიას სრული უფლება აქვს კონტრიბუცია მოითხოვოს, რადგან ომი რუსეთმა გამოიწვია. საქმე მხოლოდ იმაშია, დაუკლებენ თუ არა იაპონელები კონტრიბუციას და, თუ დაუკლებენ,—რამდენს (რ. ვ.).

რუსეთი თავს იმართლებს. «ეკო დე-პარის» კორესპონდენტი დეპეშით იუწყება პორტსმუტიდან: ვიტტემ იაპონელთა პირობები განიხილა და პასუხი გასცაო. ვიტტე სწერდა: რუსეთი ვერ დაგითმობთ სახალინს; ჩვენ აქ იმიტომ კი არ მოვედით, რომ ვაღიაროთ, დავმარცხდითო, არამედ იმიტომ, რომ გულწრფელად გვინდა სისხლის ნიაღვრის მოსპობა და მშვიდობიანობის დამყარება. რუსეთს რომ ომი არ უნდოდა, იქიდან სჩანს, რომ იგი არც ზღვაზე მოემზადა და არც ხმელეთზე. ომის დაწყება იაპონიის ბრალია და პასუხისმგებელიც ის არის''. ამას «სინ ოტეჩესტვა» შენიშნავს: უნდა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ რუსეთი კარგად ვერ მართლულობს თავს. ვიტტეს-მიერ რუსეთის გასამართლებლად წამოყენებული საბუთები ვერავის დაარწმუნებენ და თვალს ვერავის აუხვევენ (ს. ო.).

რუსეთ-იაპონიის ომის გავლენა. «კელნიშე ცაიტუნგ»-ის კორესპონდენტი შანხაიდან დეპეშით იუწყება: რუსეთ-იაპონიის ომმა ჩინეთის იმპერატორის კარზე დიდი გავლენა იქონია. მთელი ჩინეთი დარწმუნდა, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, და რეფორმებზე დაიწყო ფიქრი. რეფორმებს ყველაზე ადრე სასახლეში მოახდენენ. ჩინეთის იმპერატორმა გადასწყვიტა—დაძველებულ და დახავსებულ ზნე-ჩვეულებებს თავი დაანებოს და ისეთი წეს-რიგი დაამყაროს სასახლეში, როგორც იაპონიის იმპერატორის სასახლეში მისდევენ. ამ აზრის განსახორციელებლად ჩინეთის ერთი მანდარინი (უმაღლესი მოხელე) ტოკიოში წავიდა იქაურ სასახლის ცერემონიებისა და ზნე-ჩვეულების შესასწავლად (ს.).

იაპონიის მომავალი პოლიტიკა. იაპონიის ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს ბარონ სუემაცუს ერთ ინგლისელ ჟურნალისტთან ლაპარაკი ჰქონდა იაპონიის მომავალ პოლიტიკის შესახებ. ჟურნალისტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ როცა იაპონია მეტის-მეტად გაძლიერდება, სხვა ქვეყნების დაპყრობას მოინდომებს და ყოველთვის მშვიდობიანობას დაარღვევსო. ამაზე სუემაცუმ უპასუხა: ეტნიურის თვალთა ხედვის ისრით მაგისთანა შიში უსაფუძვლო და გადამეტებულია. ეს საკითხი სხვა მხრით უნდა განვიხილოთ. ვთქვათ, რომელიმე სახელმწიფომ იაპონიის დაპყრობა განიზრახა და ჯარიც გაგზავნა. მერე რამდენი ჯარი მოუნდება იაპონიის დაპყრობას, თუ ერთი მილიონი სალდათი მაინც არა ჰყავს. მე კი პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ერთი მილიონიც ვერას გახდება. მაგრამ ვსთქვათ ერთი მილიონი საკმარისია. ახლა მითხარით, სად არის ის სახელმწიფო, რომელსაც იაპონიაში, ოკეანეს იქით ამდენ ჯარის გაგზავნა შეეძლოს? იქნება გერმანიამ გაბედოს, იქნება საფრანგეთმა, ან იქნება ეს საქმე ამერიკამ და ინგლისმა იკისრონ? ყველაზე კარგ პირობებში ისევ რუსეთია, რადგან ახლოა იაპონიასთან. მაგრამ რუსეთმაც რა გაიტანა? ვერაფერი! ვსთქვათ რომელიმე სახელმწიფომ საზღვაო ომი აუტეხა იაპონიას და მისი საგარეო ვაჭრობის მოსპობა მოინდომა. აქ კი უნდა გამოვტყდე და აღვიარო, რომ ამ საქმის შესრულება მხოლოდ და მხოლოდ ინგლისს შეუძლიან. ეს შეუძლიან ინგლისს გარდა დაიკვეხოს და დანამდვილებით სთქვას, მე დავამარცხებ იაპონიის ფლოტსაო. კიდევ გეკითხებით, იქნება გერმანიამ იკისროს ეს საქმე? ან იქნება საფრანგეთმა გაბედოს, ან ამერიკამ? მაგრამ, ვსთქვათ, იაპონიის ფლოტიც დამარცხდა. მართალია, ეს დამარცხება დიდ ზარალს მოგვაყენებს, მაგრამ განა ჩვენი ფლოტის დამარცხება იაპონიის დაპყრობას ნიშნავს? ნავთსადგურებიც რომ დაგვინგრიონ და არსენალებიც ააფეთქონ, —სულ ერთია—იაპონია მაინც იქნება ქვეყანაზე და იცხოვრებს, იქნება იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენივე თავის იმედი გვაქვს, ყველაფერს, რაც ჩვენთვის საჭიროა, ჩვენვე ვამზადებთ და არავისგან დამოკიდებული არა ვართ. იაპონიის დასაპყრობად საჭიროა მთელი ევროპის შეერთება, სწორედ ისე როგორც საფრანგეთის წინააღმდეგ შეერთდნენ ასი წლის წინად. იაპონია პატიოსანი, წყნარი და განათლებული ქვეყანაა და დაპყრობის, განადგურების ღირსი არ არის. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი სამშობლო სწრაფად გაიწევს პროგრესისკენ, მაგრამ განა ეს ცოდვაა? ევროპიელთა ერთ ნაწილს ჩვენი პროგრესი არ მოსწონს, მაგრამ ჩვენ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ და მალე, ძალიან მალე გავუსწრობთ ჩვენს მასწავლებელს—ევროპას (ს. ლ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 10 აგვისტო. განსაკუთრებულ რჩევაში, რომელიც გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით მოხდება, სხვათა შორის, შეიტანენ საკითხს კავშირების უფლების შესახებ და სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნად დასახელებულ კანდიდატების შესახებ თავისუფლად მსჯელობისა და კრიტიკის უფლებას. ამომრჩევლებს შეუძლიანთ თავიანთ დეპუტატებს წარუდგინონ პროგრამა იმ პრინციპებისა, რომელთა თანახმადაც დეპუტატი ზნეობრივად ვალდებული ხდება იმოქმედოს. „რუს“-ის ცნობებით, წარმომადგენლების ამორჩევა სახელმწიფო სათათბიროში დეკემბერში მოხდება. სხვადასხვა საკითხების განსახილველად, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ამორჩევის ორგანიზაციასთან, განსაკუთრებული კომიტეტი დაარსდება.

აღიძრა საკითხი იმ პირთა უფლების აღდგენის შესახებ, რომლებსაც, ადმინისტრაციის, ან სასამართლოს გარდაწყვეტილებით, ეს უფლება წართმეული ჰქონდათ. ითხოვენ, მაგალითად, გადასახლ-გადმოსახლების თავისუფლებას, თავისუფლად საცხოვრებელ ადგილის ამორჩევის უფლებას და პროფესიის ამორჩევის უფლებას.

ცნობები იმის შესახებ, ვითომც პეტერბურგში სახელმწიფო სათათბიროს ამორჩევათა ორგანიზაციის საკითხის განსახილველად ადგილობრივ ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენლები მოიწვიოთ, სიმართლეს მოკლებულია. „რუს“-ი გადმოგვცემს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში იხილავენ კანონპროექტს, რომლის ძალითაც სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შეკავშირებისა და სახელმწიფო საქმეების ერთად განხილვის უფლება მიეცემათ.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ ახლო მომავალში ახალი—საკრედიტო სესხი გამოიცემა; ამით გლეხ-კაცობის ნადელების ფონდის გადიდებას საძირკველი დაედება.

სარწმუნოებათა თავისუფლების შესახებ განსაკუთრებულ რჩევაში, განიხილავენ კათოლიკეთა, ლუტერანთა და ებრაელთა სარწმუნოების საკითხს.

ახალი ამბავი

✦ ტფილისში **ჩამოვიდა დეპუტაცია გურია-სამეგრელოს სამღვდელოებისა**. დეპუტაციაში არიან ბლ. მღვდლები თოხაძე, შათილაია, ბობოხიძე, ჯონტაბერიძე, ხუნდაძე და შომახია...

✦ ბორჩალოს მაზრის სოფელ გეუარხის **გლეხობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან**, მიეცეს მას ამავე სოფლის მახლობლად მდებარე სახელმწიფო საძოვარი ადგილები.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო თიანეთის მაზრაში თუშებს **დაურიგონ თავის დასაცველად** 120 ცალი ბერდანის სისტემის თოფი და 5000 ცალი პატრონი. იარაღი სახელმწიფო არსენალიდან მიეცემათ.

✦ როგორც სადგურ აბაშიდან გვატყობინებენ, 10 აგვისტოს, მე-54-ე ვერსზე ვიღაცებს **ლიანდაგი აუყრიათ**, მემანქანეს ეს ამბავი დროზე შეუმჩნევია და მატარებელი გაუჩერებია.

✦ როგორც ,,ნოვ. ობ.''-ს გაუგია, მომავალ სახელმწიფო სათათბიროს წევრად კავკასიიდან **მხოლოდ 28 კაცი იქმნება არჩეული**.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ **კავკავში დაარსებულ იქმნას საოსტატო სემინარია**.

✦ **ქალაქის ავლაბრის პროგიმნაზიაში** თხოვნებს იღებს პროგიმნაზიის ინსპექტორი ი. ს. ღულაძე ყოველ დღე 11 საათიდან 1 საათამდე, ავლაბრის საქალო სკოლის სადგომში, ბეგლიაროვის ქუჩაზე, სახ. მურადოვისა.

✦ მიმდინარე წლის სექტემბერში ტფილისში შესდგება საგანგებო კრება. კრებას თათბირი ექმნება **კავკასიის მთიულების ადგილ-მამულის მხრივ მოწყობის შესახებ**.

✦ ტფილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის მასწავლებელი ბ. წატუროვი დაინიშნა **შუშის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორად**.

✦ აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქმნება **საგანგებო კრება ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის საზოგადოებისა**.

ფელეტონი

ყოველი მეხუთე..

(მოთხრობა სვობოდისა)

მომქმედ ჯარზე მოშორებით ვიდექით. იგი დაბლობში დაბანაკებულიყო და გაღმა, გორაკთან, მდგომ მტერს ებრძოდა. ჩვენ ვიწექით კართოფილით დათესილ ხნულის კვლებში და თოფებმომარჯვებულნი, მებრძოლთ მაღლიდან დავყურებდით:—მარცხენა ფრთეს ვდარაჯობდით. დროგამოშვებით ავარდებოდა ხოლმე თეთრი კვამლი და გზა-დაბნეული ტყვიები აღმა და დაღმა დაჰქროდა.

ერთმა ტყვიამ ყურებთან გამიზუზუნა და ეს უგემური ხმა გადნა ჰაერში, სადღაც ჩაკვდა.

თუმცა თოფ-მომარჯვებული ვიწექი ხნულში, მაგრამ თოფს კი არ ვისროდი. ასეთ საქციელს მეტად ვსთვლიდი. კართოფილის ღეროები ჩემ თვალთა წინ წყნარად ირხეოდნენ. ირგვლივ დამპალი ფოთლის სუნი იდგა. თვალი შემოავლე მიდამოს და ბუნების სიმშვენიერემ გამიტაცა. განუწყვეტელი სროლა მებრძოლთა, ალღუმებს უფრო მაგონებდა, ვიდრე თვით ომს. უჰ, რა კარგი იყო ამ დროს ხნულში წოლა! ცეცხლის ალი ველად დაფარფატობდა, შორს გამდგარი ტყე კი გრგვინავდა, ირხეოდა, ბუზღუნებდა.

ჩემ წინ იწვა ქვეითა ჯარისკაცი—ვანეკი. მაღალი და გამხდარი იყო. გახუნებულ, აწეწილ-დაწეწილ წვერ-ულვაშს დაებურა მისი გულუბრყვილო სახე. როგორც სოფლის შვილი, ვანეკი მოუხეშავი და გაუხედავი იყო. შუა ხანს გადაცილებული და სამი შვილის მამა (როგორც თითონ მითხრა) ჩვენ ხშირად გვერიდებოდა ხოლმე და განზე გამდგარი—თავისთვის ჰფიქრობდა, ოცნებობდა.

— კარგია არა, ვანეკო, ამ ხნულში წოლა-მეთქი?—გამოველაპარაკე ვანეკს.

— მშვენიერია, ნეტა ყოველთვის ასეთ საფარში ვიყოთ ხოლმე, ბატონო ფელთფებელო!—მიპასუხა ვანეკმა.

— რა მაგის საქმეა კართოფილის ხნულში წოლა. ნება რომ ჰქონდეს, კართოფილს მოიპარავს და კალთით ცოლს მიუტანს—მოისმა წიწინა და უგემური ხმა ეიემისა, რომელიც იქვე ჩვენ გვერდით იწვა.

ირგვლივ ხარხარი ასტეხეს.

— რასაკვირველია, კართოფილის ჭამა სჯობია! გულუბრყვილოდ უპასუხა ვანეკმა.

ჯარის კაცებმა სიცილს მოუმატეს. იცინოდა ვანეკიც და თან რაღაცას ლუღლუღებდა.

უცბად ჩვენკენ მომავალი მაიორი გოლლე დავინახეთ. მოდიოდა ცხენით, მტრისგან გორაკს მოფარებული. მისი ცხენი გაქანებული მორბოდა და ფეხებს მავთულის ჩხირებივით მოათამაშებდა, პირზე ქაფი მოსდგომოდა. ცხენზე მოსჩანდა ცავის ფერი სერთუკი, ლურჯი შალვარი და ყელიანი წაღები მაიორისა. ჩვენ უკვე გვესმოდა ცხენის ფეხთა ყრუ ბაკუნი, მაიორის ქშინვა და უზანგოებში გაჭედილ მისი წაღების უცნაური ჭრიალი.

— ბატონი მაიორი მობძანდება!—წამოიძახა ეიემმა. ყველას შიშის ზარმა დაგვკრა. ვანეკიც გასწორდა. სცდილობდა ისე დაწოლილიყო, როგორც ამას სამხედრო წესი მოითხოვდა.

— მორბის... მოჰქრინავს მისი მერანი—დაიღრიალა ეიემმა და თოფი მოიმარჯვა, ნიშანი ამოიღო.—თავი ისე უნდა ვაჩვენოთ, ვითომც მტერს ვესვრითო—ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა ეიემმა და უფრო კარგად გასწორდა.

რაც უფრო გვიახლოვდებოდა მაიორი, მით უფრო მღელვარება გვეტყობოდა. ჩვენ იგი ჭირივით გვძულდა. მეტის-მეტი სასტიკი და გულქვა კაცი იყო.

— ნეტა რად მოდის მეთქი—ვფიქრობდი მე და გული საშინლად მიცემდა.—ალბად შეგვამჩნია, რომ ნაკლებად ვისროდით, ალბად გვიბრძანებს, რომ სხვა გვარ დავწყვეთ, სხვა-გვარ ვისროლოთ... ღმერთო, ღმერთო!..

— მაშ ისროლეთ... აბა ბიჭებო ისროლეთ! აღარ ისვენებდა პორუჩიკი შუსტერი, რომელიც მაიორის დანახვამდე, არაფერს არ აკეთებდა.

— ბიჭო, გუფსკი, ისროლე! შენც, ეიემ, შენც გაისროლე, პოლლაკ პირი ნუ დაგიღია! ყვიროდა, ბძანებლობდა შუსტერი.

გაისმა თოფების ხათქა-ხუთქი ჩვენის ხნულიდანაც. მყრალი უსიამოვნო კვამლი ზანტად იძაბებოდა და მიდამოს აბნელებდა. ჩვენ კი მაინც ისევ ვისროდით, ვისროდით ბეჯითად, გულ-მოდგინედ, თითქოს ეს უმიზნო სროლა სასიხარულო რამ ყოფილიყოს. ალბად მაიორ გოლლეს მოახლოვების ბრალი იყო ჩვენი ასეთი ერთგულება. სალდათებს მისი ეშინოდათ, არ უყვარდათ იგი. მისი სუქანი, მოთეთრო სახე, ორად გაყოფილი ნიკაპი, ჰაწია ულვაშები, მოკუმული პირი და სასტიკი, მოჭუტული თვალები თითოეულ ჩვენთაგანის ზიზღს იწვევდა. ჩემს დღეში მე იგი გაცინებული არ მინახავს. ცივად და უკმეხად გვიბძანებდა ხოლმე.

იგი უკვე მოგვიახლოვდა. ჩვენც ერთგულებას მოვუმატეთ.

უცბად ერთმა ტყვიამ სხვა გზით გაიზუზუნა, ამავე დროს მაიორი ცხენზე შეტორტმანდა, გადიხარა და ცხენიდან გადმოვარდა.—ჩვენთაგანმა მოჰკლა მეთქი—გავიფიქრე და გულს სევდა შემომაწვა.

— რომელი იყო, რომელმა თქვენგანმა მოჰკლა? დაიღრიალა პორუჩიკმა შუსტერმა და ფეთიანივით იმ კვლებს მოედო, სადაც ჩვენ ვიწექით.

— თქვით მეთქი, ვინ მოჰკლა, ვინა? გაჰკიოდა პორუჩიკი და მისი უსიამოვნო ხმა ნემსებივით გვჩხვლეტდა.

ჩვენ ხმა-ამოუღებლად მივჩერებოდით ცხენიდან გადმოვარდნილ მაიორის გვამს. ქუდი შორს გადავარდნოდა. ერთი ფეხი უზანგოში დარჩენოდა. უცბად ცხენი ყალყზე შედგა, დაიფრუტუნა და თავქვე დაეშვა. მაიორის გვამი გზაზე დაეცა.

ჩვენ ისევ ვსდუმდით.

აღელვებული პორუჩიკი ერთი კაციდან მეორესთამ მიდიოდა. ჩვენ კი ვიწექით გაუნძრევლად და ყველას მიზანში მტერი გვყავდა ამოღებული, თუმცა თოფს აღარ ვისროდით.

გამოუთქმელ მღელვარებას შეეპყრო თითეული ჩვენთაგანი. სულგაკმენდილები ვიყავით. ჩვენი პორუჩიკი კუნაპეტივით შავს, ცეცხლის მფრქვეველ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ვინ იყო, ვინა? ერთხელ კიდევ დაიყვირა პარუჩიკმა და ჩვენსკენ გადმოიხედა. მე ზეზე წამოვდექი და წინ გამოვეჭიმე.

იგი შეკრთა.

— ყველა კარგი, მაგრამ მაიორს უნდა მივხედოთ, მოვუაროთ. იქნება მარტო დაჭრილია-მეთქი!—აჩქარებით მოვახსენე. სამხედრო წესები სულ გადამავიწყდა.

პორუჩიკი დაიბნა. იგი სულ სხვა აღსარებას მოელოდა ჩემგან და მე კი მაიორზე დავუწყე ლაპარაკი. თვალებში ცეცხლი ჩაუქრა და რაღაცა წაილუღლუღა. ამ დროს ვიღაცამ ჩაიხითხითა და პორუჩიკი ისევ გაბრაზდა.

— უნდა მივხედოთ მაიორს! გადაჭრით ვუთხარ კიდევ პორუჩიკს.

— დიაღ, დიაღ... უნდა მივხედოთ—დაბნევით გაიმეორა შუსტერმა და აქეთ-იქით ფეთიანივით ცქერა დაიწყო.

— კაპიტულო, წაიყვანე ოთხი სალდათი და მაიორი ასწიეთ.—ბრძანება გასცა პორუჩიკმა.

ჩვენ სროლა შევწყვიტეთ. ყველა იმ ადგილს მივჩერებოდით, სადაც მაიორის გვამი ეგდო. მაიორის ცხენი კი შორს, ხეებ შორის, დარბოდა და ფაფარ აშლილი გულსაკლავად ჰიხვინებდა.

ერთი საათის შემდეგ მტრის ქვეითა ჯარმა უკან დაიხია და ჩვენც უმთავრეს ლაშქრისკენ გავწიეთ. მივდიოდით ხმა-ამოუღებლივ, დაფიქრებულნი. მომავალი შიშის ზარსა გვცემდა. მე კი მაიორის სახეც არ მშორდებოდა. რაღაც გაურკვეველმა სევდამ და მაიორისადმი სიბრალულმა შემიპყრო. გამახსენდა ყველა მისი ნამოქმედარი და ჩემდა უნებურად წავიბუტბუტე: „კარგი კაცი იყო, უბედური, მხოლოდ ვერ იცნეს“-მეთქი.

ლაშქართან მისვლისათანავე ჩვენი კაპიტანი აღელვებით ჩვენკენ გამოექანა. შუსტერი მიესალმა და მაიორის მოკვლის ამბავი მოახსენა.

— ვიცი! იგი ისევ ჩვენმა ჯარის კაცმა მოჰკლა. ის ტყვია, რომელიც ბარონ გოლლეს გვამიდან ამოიღეს, ჩვენი ტყვიაა—უპასუხა კაპიტანმა შუსტერს და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ვინ მოჰკლა? შეგვეკითხა და ცხენზე გასწორდა.

კრინტი არავის დაუძრავს.

— უმჯობესია დამნაშავემ თითონვე აღიაროს... თორემ სულ ერთია...—ბრძანა კაპიტანმა.

სამარისებური სიჩუმე არ დარღვეულა.

— არ იცით განა, რომ ბრძოლის დროს გამოსაძიებლად არა გვცალიან... ყველას დაგხვრეტავთ. გრგვინავდა კაპიტანი.

პარუჩიკი შუსტერი კაპიტნის გვერდით იდგა და დაღვრემილი ულვაშს იკვნეტდა.

— ხუთი წუთის შემდეგ დაირაზმეთ და, თუ არ გასცემთ იმ არამზადას, რომელმაც მაიორი მოჰკლა, ყველას დაგხვრეტავთ!—უკანასკნელად ბძანა კაპიტანმა, ცხენი მოაბრუნა და გაჰქუსლა.

კაპიტნის სიტყვები მტკიცე და სასტიკი იყო. მე გამახსენდა სამხედრო წესები, რომლის თითოეული მუხლიც შემდეგის საზარელის სიტყვებით თავდება: „დახვრეტილ იქმნება“.

ჯარის კაცებმა დრტვინვა დაიწყეს.

— კრინტსაც არ დავძრავთ!—ამბობდა ყველა.

— ვერაფერსაც ვერ გვიზამენ!—გაიძახოდა თვითოეული მათგანი, თუმცა ყველა აღელვებული და შიშით იყო შეპყრობილი.

ბევრი მათგანი იცინოდა კიდეც. მე კი სევდა მკლავდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კაპიტანი ისევ დაბრუნდა და თან რაზმის უფროსის განკარგულება მოიტანა. სახე მოღუშული ჰქონდა, მისი ცხენიც ყალყზე დგებოდა. ჩვენ თავ-ზარი დაგვეცა.

კაპიტანმა ჩამოგვიქროლა და ერთხელ კიდევ შეგვეკითხა:

— იტყვით თუ არა, ვინ არის დამნაშავე?

მისმა ცივმა და სასტიკმა ხმამ შეგვკრა, შეგვბოჭა.

ჟრუანტელმა დამკრა თავში, სისხლი გამეთოშა.

სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

კაპიტანი მიუახლოვდა შუსტერს და რაღაც უთხრა. შუსტერი გაწითლდა. ამის შემდეგ კაპიტანმა გვიბძანა დავრაზმულიყავით. ჯარის კაცები ზანტად შეუდგნენ უფროსის ბრძანების ასრულებას.

როდესაც შუსტერს გვერდზე გავუარე, ჩამჩურჩულა:

— გახსოვდეს, ყოველი მეხუთე...

გული საშინლად მიცემდა, თავს ბრუ მეხვია, მეტირებოდა და შუსტერის სიტყვების აზრი ვერ გავიგე.

მე მოვხვდი პირველ რიგის სათაურში. არაფერზე ფიქრი აღარ შემეძლო, არც ვიცოდი რა მოგველოდა, მხოლოდ მესმოდა კაპიტნის ყვირილი—ჩქარა, ჩქარა ნუღარ აგვიანებთ... დაეწყეთო.

უცბად თავში ნათელმა აზრმა გამირბინა. „ყოველი მეხუთე“... გაწივლა ყურში შუსტერის საიდუმლო სიტყვებმა და მივხვდი კიდეც: ყოველი მეხუთე კაცი რიგში დაიხვრიტებაო“ აი რა უნდა ეთქვა-მეთქი ჩემთვის შუსტერს და შიშის ქარმა ამიტანა. გაფანტვით მიმოვიხედე და ჩემამდე მდგომნი გამოვითვალე. მე მეათე ვიყავ! განუსაზღვრელმა შიშმა შემიპყრო, გულში სისხლი ჩამექცა. ერთის თვალის დახამხამებაზე მოვწიე ჩემ მარჯვნივ მდგომ კაცს, მარცხნივ გადმოვიყვანე და მე მის ადგილას გავჩერდი. ასე უცბად მოვახერხე ყველა ეს, რომ არავის შეუმჩნევია. მე დავმშვიდდი... გადარჩენილი ვიყავ, მარტო ახლა დავუკვირდი იმ კაცს, რომელიც ერთის ნახტომით სიკვდილს პირში მივეცი.

◆ სრულიად სომხების კათალიკოსმა 9 აგვისტოს **შუშიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:** რამდენიმე ათასი ცხენოსანი მაჰმადიანი ხაჩენს დაეცა, სადაც, როგორც ამბობენ, მაჰმადიანთა და სომხებს შორის შეტაკებაა. ამის შესახებ ვაცნობე მალამას და ვსთხოვე, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ ღონის-ძიებანი ხოცვა-ჟლეტის მოსასპობად. ეპაქიის უფროსი, ეპისკოპოსი აშოტი." ამ დეპეშის შინაარსი კათალიკოსმა კავკასიის ნამესტნიკს აცნობა.

◆ შუშიდან გვატყობინებენ, რომ ჯევანშირსა და ჯებრაილის მაზრებში **მაჰმადიანთა და სომხებს შორის განხეთქილებამ ისევ იჩინა თავი.** რამდენიმე ალაგას უკვე შეტაკება მოუხდათ, რამაც შუშასა და ახლო-მახლო სოფლების მაჰმადიანნი და სომხები ააღელვა. შუშასა და ევლახს შუა მისვლა-მოსვლა შესწყდა. რამდენიმე მგზავრი გაძარცვეს. ბევრი იძულებული გახდა ევლახსა და აგდამში დარჩენილიყო, სადაც ამ ჟამად იმყოფება გუბერნიის მმართველი ბარანოვსკი.

◆ სოფ. შულავერიდან (ბორჩალოს მაზრა) გვატყობინებენ: 9 აგვისტოს, შულავერის წმ. მესროფის ტაძარში თავი მოიყარა დიდძალმა სომხობამ, გადიხადეს პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ, **ასეთი დეპეშა გაუგზავნეს ნამესტნიკს:** „დღეს, 9 აგვისტოს, ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის წყალობის გამო, სოფ. შულავერში თავმოყრილმა დიდძალმა სომხობამ, მღვდლებისა და ხალხის თანადასწრებით, გადვიხადეთ პარაკლისი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სადღეგრძელოდ და გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მათ იმპერატორებით უდიდებულესობის ფეხთა წინაშე განაცხადოთ ჩვენი უსაზღვრო ნდობა და უქვეშევრდომილესი გრძნობანი. ამასთან ერთად, გაცნობებთ, რომ, ჩვენთვის დიდმნიშვნელოვან დღის აღსანიშნავად და თქვენდა სამადლობელად, დავადგინეთ დავაარსოთ სოფ. შულავერში უფასო, საზოგადო ბიბლიოთეკა თქვენის ბრწყინვალების სახელობაზე".

◆ ტფილისში ჩამოვიდა საინჟინერო ჯარების მთავარ ინსპექტორი გენერალ-ლეიტენანტი დ. ტ. სვიშჩევსკი.

◆ კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში ამ მოკლე ხანში **განხილულ იქნება სამოსწავლო გეგმა და პროგრამა** ადგილობრივ ენების სწავლების შესახებ, რომელიც სახალხო სკოლების მასწავლებელთა განსაკუთრებულმა კრებამ გამოარკვია. ნამესტნიკის საბჭოში ამ გეგმისა და პროგრამის განხილვის დროს მოწვეულნი არიან ადგილობრივ ენების მასწავლებელნიც,

◆ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, **ბაქოს გუბერნატორად ინიშნება** სენატის კუზმინსკისთან ერთად რევიზიის დროს ნამყოფი **დ. ს. ს. შიდლოვსკი.**

◆ იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი ტფილისიდან შიო მღვიმელის მონასტერში გაემგზავრა.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი სთხოვს ქალაქის გამგეობას, **ავლაბრის პროგიმნაზიის საპატიო მზრუნველი დაუნიშნოს.**

◆ ეს რამდენიმე თვეა უგზო-უკვალოდ დაკარგულა სოფ. გომბორის (ტფ. მაზრა) მცხოვრები იაკობ კასტეცკის შვილი გრიგოლი.

◆ 10 აგვისტოს მე-9 საპ. უბანში მცხოვრები ი. ა. ფირალოვი ბანაობის დროს მტკვარს წაუღია. მაგრამ პოლიციელ ი. ეგოროვს გადაურჩენია. პოლიცმეისტერმა ეგოროვი მენდლით დააჯილდოვა.

◆ მე-8-ე საპ. უბანში 10 აგვისტოს მალაკანმა ივ. პონომარევმა დასჭრა ზაქარია ლუარსაბოვი.

◆ მე-7-ე საპ. უბანში ტფილისის მოქალაქე ტ. ბედიაშვილმა დასჭრა თავის სიძე გიგო საათოვი.

◆ ახალციხის მაზრის სოფელ ჩეჩლში მცხოვრებ მოლა-ემინ იბრაგიმის სახლსა და დუქანს დაეცნენ შეიარაღებული ყაჩაღები და 1460 მანათი ფული წაიღეს. ჩეჩლში კაზაკები გააგზავნა.

◆ როგორც ს. მეჯამიდან გვატყობინებენ, 10 აგვისტოს, საღამოს 8½ საათზე, მე-426-ე ვერსზე, მიმავალ მატარებელს თავს დაესხნენ შეიარაღებული კაცები, შეუსხდნენ ერთ ვაგონს და სროლა ასტეხეს. გაქურდეს კონდუქტორები ი. კობრაძე და მ. გაბრიაძე.

◆ ამ თვეში ქალაქში ძლიერ გავრცელებულა მუცელა (брюшной тифъ). მიხეილის საავადმყოფოში ამ სენით შეპყრობილი 12 კაცი მიუყვანიათ.

◆ როგორც რკინის გზების მთავარ გამგეობის გამოანგარიშებიდან სჩანს, ამიერ-კავკასიის რკინის გზებს უკანასკნელ გაფიცვების გამო 3½ მილიონი მანათის ზარალი მოსვლია.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა სამშობლოში დაბრუნების ნება დართო ნოვობაიაზეთის მცხოვრებს—ერმანაგ მელიქოვს.

◆ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა **მარშალი ადგენს იმ კომისიას**, რომელმაც უნდა გამოარკვიოს წესრიგი საერობო სამაზრო კრებაზე დასასწრებად.

◆ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, სეტყვას შემდეგი ზარალი მიუყენებია: სომხების სოფ. ჯელალოღში განადგურებია 516 დესეტინა—7440 მანათისა, რუსის გერგერში 150 დეს.—10500 მანათისა, ნოვო-პოკროვკაში—129 დეს.—5634 მანათისა და რუსების ჯელალოღში 211 დეს.—1290 მანათისა.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადულის" XVIII ნომერი (მცირე წლოვანთათვის) შინაარსი: 1) მინდორი, (ლექსი) ი. ევდოშვილისა; 2) სოლიკოს მტრები, თ. ფ—ლისა; 3) მეჯლისი სოკოს ქვეშ (თარგმანი); 4) საიდან წარმოსდგა მგელი—(ამერიკული ზღაპარი) ოლღა ბექანიშვილისა. 5) ფერია (თარგმანი); 6) სპილო და ექიმი—ა. ამილახვარისა. 7) სახალხო სამუშაო და გასართობები.

დაღესტნის გამოღვიძების ნიშნები

მიუხედავად იმისა, რომ დაღესტნის მკვიდრნი დაძაბუნებულნი არიან ნახევარ საუკუნის უვარგის მართვა-გამგეობით და უკიდურესი სიღარიბით, რომელიც სულსა ხდის მათ და უნადგურებს ყოველსავე აზრს, და მისწრაფებას,—ლეკებმა მაინც ცოტად თუ ბევრად შეიგნეს ახლანდელის ისტორიულის წამის მნიშვნელობა...

ლეკების მატერიალურ კეთილ-დღეობას სრულიად ძირი გამოუთხარა იმ გარემოებამ, რომ თითქმის მთელი მათი მიწა-წყალი სახელმწიფო კუთვნილებად იქმნა აღიარებული. მართალია, ლეკებს, თუმცა ძლიერ მცირე კულტურა ჰქონდათ, მაგრამ მაინც ცოტა რამ მოეპოვებოდათ, რომელიც შერჩა მათ არაბების ზეგავლენით. ამ კულტურის წინააღმდეგაც იყო მიმართული ყოველივე ღონისძიება. უნდოდათ აღმოეფხვრათ ეს კულტურა ძირიან-ფესვიანად და მის მაგიერ რუსული კულტურა დაემყარებიათ. როგორც მოსალოდნელი იყო, მიზანს ვერ მიაღწიეს, ხალხი-კი უფრო გავერანდა.

მარტო ასეთის უკიდურესის მდგომარეობით აიხსნება ის მოვლენა, რომ დაღესტანი მხარს ვერ უჭერს კავკასიის დანარჩენ კუთხეებს იმ შეგნებით და ენერგიით, რომელსაც მისგან მოითხოვს დღევანდელი დღე, თუმცა ამ ბოლო თვეებში დაღესტანსაც დაეტყო რაღაც მღელვარება და მოუთმენლობა. ბიუროკრატიულ მართვა-გამგეობის წინააღმდეგ უკმაყოფილება ხან ერთ სოფელში იჩენდა თავს, ხან მეორეში.

ახლა უფრო მწვავედ იგრძნეს ის ანორმალური მდგომარეობა, რომ ზოგიერთ ოლქებში საუკეთესო მათი სახნავ-სათესი ადგილები და საბალახე მთები მიზომილი აქვთ რუსეთიდან გადმოსახლებულთ. მაგალითად, სოველ იშკარტის მცხოვრებ რუსებსა და ახლო მდებარე ლეკების სოფლების შორის დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ კინაღამ საშინელი სისხლის ღვრა არ მოხდა.

სოფელი იშკარტი დასახლებულია მხოლოდ რუსებით, რომელნიც მართებლობას გამოუწვევია შიდა-რუსეთიდან. სახნავ-სათეს ადგილებს გარდა, მათ მისცეს საბალახო, ზომით ათას დესეტინამდე, რომლითაც ამ დრომდის სარგებლობდნენ ლეკები. პირველში ჩამოსახლებულები მცირე ფასით აძლევდნენ ლეკებს ამ საბალახოს, მხოლოდ მერე და მერე დალამ იმატა და, ამ ბოლო ხანებში, იმ ზომამდე აიწია, რომ ლეკებმა ვეღარ შესძლეს საბალახოს დაქირავება. უბალახოდ კი ლეკებს ცხოვრება არ შეუძლიათ, ვინაიდგან სულს მარტო საქონლის მოვლა-მოშენებით იბრუნებენ. ამას გარდა, კიდევ სხვა მიზეზებიც არის, რომლის გამო მკვიდრთ სძულთ ჩამოსახლებულნი. მაგალითად, საკმარისია ჩამოსახლებულმა განუცხადოს ადმინისტრაციას, რომ მას საქონელი დაეკარგა და მიუთითოს რომელსამე სოფელზე, სადაც, მისი ფიქრით, ქურდი უნდა ცხოვრობდეს, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელმა იმ წამსვე ფიცხელი განკარგულება მოახდინოს და დასახელებულ სოფლის მცხოვრებთ საქონლის ღირებულება მომჩივანის სასარგებლოდ ერთი-ორად გადაახდევინოს. იმის გამოძიებაში კი არავინ შედის, დანამდვილებით ამ სოფლის მცხოვრებლებმა ჩაიდინეს დანაშაული, თუ რომელმამე სხვა სოფელმა. შეიძლება საქონელი ნადირსაც შეეჭამოს ან კლდეზე გადაჩეხილიყოს... ზარალს კი, მაინც ლეკებს აღზევინებენ.

გაზაფხულის დამლევს ხმა გავარდა: ლეკები იშკარტაში მცხოვრებ რუსების ამოხოცვისთვის ემზადებიანო. როგორც მერმე ადმინისტრაციის მოქმედებიდგან აღმოჩნდა, ამ ხმას საფუძველი ჰქონდა. ჩვეულებრივად დაუდევარმა ადმინისტრაციამ საჩქაროდ გამოითხოვა ნებართვა კავკასიის უმაღლეს მთავრობისაგან, რომ საბალახო ადგილები რუსებს ჩამორთმეოდათ და ლეკებისთვის მიეცათ.

ზოგიერთ ალაგას სახაზინო საბალახოებში ლეკებმა ძალით ჩარეკეს საქონელი და, როდესაც ადმინისტრაციის წარმომადგენელი მივიდა და მოსთხოვა მათ საქონლის გარეკა, არ დამორჩილდნენ. ერთი სიტყვით, ლეკებმა დაკარგეს ჩვეულებრივი მოთმინება და ძალას დაადგნენ.

ადგილობრივმა ინტელიგენციამაც არ აუქცია მხარი ახლანდელ ისტორიულ წამს და მოუწოდა ხალხს, რომ უმაღლეს მთავრობისთვის თავისი მოთხოვნილებანი წარედგინა. ამ აზრით თ. ხ. შურაში, ივლისის შუა რიცხვებში, მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო ორმოცზე მეტი კაცი. მათ შორის იყვნენ როგორც ინტელიგენციისა, ისე ვაჭრებისა და გლეხების წარმომადგენელნიც. კრებას ცოტა ყოყმანი მაშინ დაეტყო, როდესაც დარბაზში გაჩნდა ადგილობრივი პოლიცმეისტერი, იკითხა ხომ არ გიშლითო (!?), და ისიც მაგიდას მიუჯდა. ბაასი მხოლოდ კუმიკურ ენაზე იყო, ვინაიდან ეს ენა პოლიომეისტერის გარდა ყველა დამსწრეთ ესმოდათ. კრებას წარედგინა მოთხოვნილებათა პროექტი. პროექტის პუნქტები შეეხებოდა, როგორც ადგილობრივ საჭიროებებს, ისე მთელ რუსეთისას...

ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ შემდეგი უმთავრესი მოთხოვნილებანი იყო აღნუსხული. 1) შეიცვალოს დაღესტნის სახალხო-სამხედრო მართველობა (военно-народное управленіе) სამოქალაქო მართველობით. 2) შეიცვალოს ადგილობრივი სამსჯავროები საერთო საიმპერიო სასამართლოებით, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. 3) შემოღებულ იქმნას ერობა იმ გაუმჯობესობით, რომელიც უნდა მოხდეს მის ორგანიზაციაში 12 დეკემბრის მანიფესტის ძალით. 4) მოეწყოს სწავლა განათლების საქმე ადგილობრივ ენებზე. 5) დაუბრუნდეს მცხოვრებთ ის მიწა-წყალი, რომელიც მათ ჩამოერთვათ და ჩაირიცხა სახელმწიფოდ. 6) შეწყვეტილ იქმნას შიდა-რუსეთიდან გადმოსახლება, ვინაიდან ადგილობრივ მცხოვრებთაც არ ყოფნის მიწა-წყალი.

ამ ზემოდ ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა გარდა კიდევ იყო სხვებიც, მაგრამ უფრო წვრილმან საგნებს შეეხებოდა.

კრებამ მოიწონა პროექტის ყველა მუხლები, მხოლოდ თავის თავი ვერა სცნო მთელის დაღესტნის სურვილების გამომხატველად და ამიტომ დაადგინა: ეთხოვოს ადგილობრივ გუბერნატორს, რომ მან დახმარება გაუწიოს მთელის დაღესტნის წარმომადგენელთა მოწვევის საქმეში. არჩეულ იქმნა ხუთი კაცისაგან დეპუტაცია, რომელიც მეორე დღეს წარუდგა გუბერნატორს და გადასცა, რაც დავალებული ჰქონდა. გუბერნატორი არ მოელოდა ასეთ მოქმედებას დაღესტნელების მხრივ და გაოცდა, რომ ლეკებიც რაღაცას თხოულობდნენ. გუბერნატორმა დეპუტაცია უარით გამოისტუმრა და კრების მოხდენაც აუკრძალა. ეს გარემოება იძულებულ ჰყოფს საზოგადოებას უმაღლეს მთავრობას მხოლოდ მცირე კრებისაგან მიღებული მოთხოვნილებანი წარუდგინოს.

დროებით დაღესტნელი.

რუსეთი

აგვისტოს გასულს მოსკოვში მოხდება სრულიად რუსეთის **ქალაქებისა და ერობების წარმომადგენელთა** კრება, რომელმაც თავისი აზრი უნდა გამოსთქვას ახლად დაარსებულ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ (რ. ვ.).

◆ ახალი შინაური სესხი 200 მილიონ მანათისა შემდეგ ნაირად **გაანაწილა მთავრობამ:** 100 მილიონ მანათის ობლიგაციები სახელმწიფო ფულის შემნახველ კასებს აალებინა, 50 მილიონი—სახელმწიფო ბანკსა და დანარჩენი 50 მილიონი—კერძო ბანკებს (ს.).

◆ კუტლერის თავმჯდომარეობით მოწვეულმა კომისიამ შეიმუშავა კანონ-პროექტი რუსეთში შემოსავლის დაგვარად გადასახადის შემოღებისა. ეს გადასახადი მომავალ წლის იანვარში უნდა შემოეღოთ, მაგრამ, როგორც გამოირკვა, მისი შემოღება **სხვა დროისთვის გადაიდო.** როდის იქნება შემოღებული ეს გადასახადი—თვითონ ფინანსთა სამინისტრომაც არ იცის. გარდა ამისა კომისიამ გამოიკვლია, რომ შეუძლებელია ინტელიგენტთა შემოსავლის რაოდენობის გამორკვევა, მაგალითად, ექიმებისა, ვექილებისა და სხ. კომისიამ მხოლოდ ჟურნალისტებისა და ჟურნალ-გაზეთებში მოსამსახურეთა შემოსავლის რაოდენობა გაიგო სწორედ (რ. ვ.).

◆ საზღვაო მინისტრის ბრძანებით, ფლოტის 1 ეკიპაჟი (რაზმი) იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ს პორტიდან გადაყვანილ იქმნა კრონშტადტში, მე-17 ეკიპაჟი კი—კრონშტადტიდან ალექსანდრე მე-III-ს პორტში (რ.).

◆ ვილნოს პოლკის უფროსმა, პოლკოვნიკმა გერციკმა შემდეგი **ბრძანება გამოსცა:** „მას შემდეგ, რაც სალდათმა მაჩიდლოვერმა ჩემი მოკვლა განიზრახა იმ მიზეზით, ვითომ სამაგიეროს გადახდა უნდა „პოტემკინ"-ის მატროსების დახოცვისთვის, სხვა სალდათებმა შემატყობინეს, რომ მაჩიდლოვერს თანაუგრძნობენ ეფრეიტერი ჩერტკა და სალდათი პულუგრია. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმ დროს, როცა სალდათები „პოტემკინ"-ის აჯანყებულ მატროსებს ესროდნენ თოფებს, ზემოხსენებული სალდათები თავიანთ ამხანაგებს ჩემ წინააღმდეგ აქეზებდნენ და იმ აზრსავრცელებდნენ, ვითომ მე სასტიკად მოვექეცი აჯანყებულ მატროსებს. ზემოაღნიშნულ დანაშაულის გამო, ორივეს საპყრობილეში ვამწყვდევ თითო თვით, ეფრეიტორს ჩერტკას კი ამ თანამდებობასაც ვართმევ (რ. ვ.).

◆ 5 აგვისტოს პეტერბურგში მთავარმა სამხედრო-საზღვაო სასამართლომ განიხილა საქმე ორ მატროსისა, რომელთაც უმაღლეს **საზღვაო მოხელის ლანძღვა და ცემა ბრალდებათ.** განაჩენი ჯერ გამოცხადებული არ არის (რ. ვ.).

◆ კერჩში, წარსულ კვირას, საღამო ჟამზე, **პოლიტიკური დემონსტრაცია** მომხდარა. ადგილობრივ ხულიგანებსა და „პატრიოტებს" ეს არ მოსწონებიათ და მეორე დღეს ებრაელების აკლებას შესდგომიან. აუარებელი მაღაზია და სახლი გაუძარცვავთ, ებრაელებისთვის უცემნიათ და ზოგიც მოუკლავთ და დაუჭრიათ (რ.).

◆ 15 ივლისს პეტერბურგში, განთქმულ მინისტრის პლევეს შვილის **ეტლმა სემიონოვის პოლკის სალდათი გაიტანა** და ისე დააშავა, რომ სამსახურისთვის აღარ ვარგებულა. სალდათმა იჩივლა და საქმეც გაირჩა. განაჩენი—ერთი კვირით უნდა დააპატიმრონ პლევეს მეეტლე, დაშავებული და დასახიჩრებული სალდათი კი სოფელში გაისტუმრეს (რ. ვ.).

◆ კიევის უნივერსიტეტში შემდეგი განცხადებაა გამოკიდებული: **„სახალინის რეალურ სასწავლებელში თავისუფალი ვაკანსიაა** ინგლისურ ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლის თანამდებობაზე. ვისაც უნდა ადგილი მიიღოს, დირექტორს უნდა მიჰმართოს." სახალინი კი იაპონიის ხელშია და რეალური სასწავლებელი აღარსად არის (რ. ვ.).

◆ მიტავას გუბერნატორის ბრძანებით, ამიერიდან ველოსიპედით სიარულის ნებართვა პო-

---

ეს იყო ვანეკი.

ის ისევ ისე მშვიდად იდგა, ისეთივე კეთილი თვალები ჰქონდა, როგორიც წინად, როგორიცა აქვს ყველა მიწის მუშას. მის წყნარსა და უმანკო სახეს ღიმილი დასთამაშებდა.

გამოუთქმელი სიბრალული აღმძრა გულში მისდამი. წავაელე ხელი, ისევ თავისს ადგილზე უნდა გადმომეყვანა, მაგრამ კაპიტანმა შემამჩნია და დამიყვირა.

— ადგილიდან არავინ დაიძრას... გაჩერდით!.. ვინც გაინძრევა, ამ წუთშივე დავხვრეტავთ—დაიღრიალა კაპიტანმა და თვალებიდან ნაპერწკლები გადმოჰყარა.

ყველამ სული გავინაბეთ. გული მიკვნესდა. შევხედე ვანეკს და... ის კი იღიმებოდა უდარდელად გასცქეროდა იმ გზას, რომელითაც პოლკის უფროსი, რამდენიმე აფიცერი და ქვეითა ჯარის-კაცები მოდიოდნენ. მოუთმენლად ველოდი იმ წუთს, როდესაც ვანეკს ისევ თავის ადგილს გადმოვიყვანდი, მაგრამ განძრევასაც კი ვერა ვბედავდი, კაპიტანი თვალს არ მაშორებდა.

აგერ გამოჩნდა პორუჩიკი შუსტერი. იგი თითქო გაზდილიყო, გამაღლებულიყო. მოგვიახლოვდა ჯარის-კაცების რიგს და ხმა მაღლა დაიწყო თვლა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, **ხუთი**". მეხუთე კაცს კისერში ხელს ავლებდა და რიგის გარედ გამოჰყავდა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, **ხუთი**... უფრო და უფრო ახლო მესმოდა შუსტერის ხმა.

აგერ ვანეკსაც წაავლეს კისერში ხელი. იგი ღიმილით გამოვიდა რიგიდან. არც კი იცოდა რა დღე მოელოდა! მე ვთრთოდი, განუსაზღვრელი გრძნობა სინანულისა და სიბრალულისა გულ-ღვიძლს მღრნიდა. ვანეკი კი ისევ ისე უმანკოდ იღიმებოდა.

გამახსენდა მასთან ერთად გატარებული წუთები, გამახსენდა, რომ იგი **სამი შვილის მამა** იყო და თვალებში ცრემლები მომადგა.

— ეს ხომ ჩემი უნამუსობა, ჩემი უსინიდისობაა-მეთქი!—ვბუტბუტებდი ჩემთვის, მაგრამ იმდენი ვაჟკაცობა კი ვერ გამოვიჩინე, რომ იგი სიკვდილისაგან დამეხსნა. ის დაღლილობა, ის მოუწყდომელი შენ-ჩემობა, რომელიც კაცის ბუნების ნაკლია, ერთ ადგილს მაკავებდა. ცრემლი კი მარჩობდა, გული ძალზე მიკვნესდა, მაგრამ მაინც გაბედულად შევყურებდი ყველას.

შუსტერმა თვლა გაათავა, ოცდა ერთი კაცი გამოწკრივეს. რვა, ახლად მოსულ ჯარის კაცთაგანმა, განწირულებს თოფები ჩამოართვა.

ვანეკი გაფითრდა.—ღმერთო ჩემო—გულსაკლავად წაიდუდუნა, საცოდავათ გულ-ხელი დაიკრიბა და მერე ნაღვლიანად შემომხედა. მე თავი დავხარე—„მაპატიე-მეთქი" ესეც კი ვეღარ ვუთხარი, სიტყვები ტუჩებზე დამაკვდა, რადგანაც შუსტერმა წამოგვიარა და ყველა გადარჩენილი მოწინავე რაზმებისკენ წაგვიყვანა: იქ, სადაც მტერს პირდაპირ უნდა შევბრძოლებოდით.

ჩვენ მივეშურებოდით... როგორც ნახირი, ისე ვემორჩილებოდით ჩვენს უფროსებს.

მთელის ჩემის არსებით ვკანკალებდი, ფეხები უკან მრჩებოდა. თვალებში სულ ვანეკის მშვიდი და უწყნარი სახე მელანდებოდა. გულის ძგერით მოველოდი თოფის ხმას.

უცბად ჩვენს უკან გაისმა თოფების შესაზარი თქაფა-თქუფი.

მე შევკივლე და თვალთ დამიბნელდა. მწარე სევდამ მოიცვა მთელი ჩემი არსება და მწუხარებამ შეჰბორკა ჩემი გული...

ი.—ცანი.

საფრანგეთის წარსულიდან

1830 წლამდის

(დუბროვსკის წერილიდან)

...წარსულ საუკუნეს 30 და 40-იანი წწ. დასავლეთ ევროპაში მეტად საინტერესო,—საერთო გატაცების, საერთო აღფრთოვანების ხანაა. ხალხი ყოველგან ცხოვრების გაუმჯობესობას სცდილობდა,—იბრძოდა თავისუფლების მოსაპოვებლად, ყველას ეტყობოდა მომავლის იმედი, და რწმენა, რომ მალე დამყარდება დედამიწაზე ის იდეალი, რომელიც წინედ მიუღწეველად მიაჩნდა ყველას, რომ ამასთან ერთად მოისპობა ყოველგან ძალმომრეობა, მონობის წყვდიადი...

ხალხი იღვიძებდა, აქა-იქ თავის ძალას იჩენდა უკვე,—შორიდან კი რაღაც უცნაური გრგვინვა ისმოდა, რომელიც საბრძოლველად იწვევდა ყველას, ვინც დაჩაგრულ-დამონებული იყო.

საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნის დამლევს მომხდარმა დიდმა რევოლუციამ ძველ რეჟიმის ბატონობას ბოლო მოუღო,—მან მოსპო ყოველი წოდებრივი უპირატესობა, არისტოკრატიის ბატონობა, ფეოდალობა. ამ „ძველ რეჟიმის" წინააღმდეგ იბრძოდნენ ერთად ბურჟუაზია და ხალხი,—ერთი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალა, რომელიც დროებით შეერთებულა საერთო მოწინააღმდეგეს დასამარცხებლად. ეს შეერთება დროებითი იყო,—პროლეტარიატი ვერ შეურიგდებოდა იმ ახალ წყობილებას, სადაც მას არავითარ უფლებას არ ანიჭებდა არავინ,—ბურჟუაზია კი ეჭვის თვალით უყურებდა თავის მოკავშირეს და სცდილობდა მასში გაბატონების სურვილიც მოესპო. ამიტომ რევოლუციის შემდეგ მალე თავისუფლებისთვის მებრძოლი ბურჟუაზია დიდის ამბით დაუხვდა ნაპოლეონს, რომელიც რევოლუციის დროს მოპოვებულ უფლებებს უტოვებდა ბურჟუაზიას და მასთან ერთად სპობდა საფრანგეთში სოციალურ და და პოლიტიკურ განვითარებას.

მაგრამ ნაპოლეონის ბატონობა ხანგრძლივი არ იყო,—შინ, საფრანგეთშივე და გარედ, ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში, მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. საფრანგეთის უწინდელ სამეფო გვარეულობის წარმომადგენელნი და ძველი არისტოკრატია ცდილობდნენ ძველ წყობილების აღდგენას,—იმედი ჰქონდათ, რომ დაიბრუნებდნენ ძველ პრივილეგიებს. ევროპის სხვადასხვა მთავრობაც ხომ სულით და გულით ემხრობოდა საფრანგეთის არისტოკრატიას, რომლის დამარცხებამ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს ხალხშიაც აღძრა გაბატონების სურვილი. საჭირო იყო ამიტომ საფრანგეთშიაც მოსპობილიყო ყველაფერი, რაც შეჰქმნა რევოლუციამ.

ამნაირად მოხდა, რომ 1814 წ. საფრანგეთში ისევე დაბრუნდა ლუდოვიკო XVIII და მისი ძმა გრაფი დ'არტუა, რომელიც შემდეგ კარლ X სახელით გამეფდა; ნაპოლეონი გადააყენეს და წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს.

არისტოკრატია გამარჯვებას დღესასწაულობდა აშკარად,—ოცნებობდა უწინდელ წყობილების აღდგენას, უწინდებურად ხალხის დამონებას და თავისთვის ყველა პრივილეგიების დაბრუნებას...—ავიწყდებოდა, რომ უკვე წლებში გამაგრებულ კლასების ხელახლად დამორჩილება შესაძლო არ იყო, რომ ეს კლასები ძირითადად უარჰყოფდნენ ძველ პრივილეგიებს, მხარს უჭერდნენ ახალ სოციალურ წყობილების გაძლიერებას.

ლუდოვიკო XVIII-ს ერთის მხრივ ძველ სამეფოს უფლებების აღდგენა უნდოდა, მეორეს მხრივ კი მას სამეფო ტახტის შერჩენაც ენატრებოდა და ამიტომ მან დათმობა ირჩია; ამიტომ 1814 წ. ივნისს მან მიანიჭა ხალხს კონსტიტუცია და ამასთანავე აცხადებდა, „ჩემის ნებით გაძლევთ ამ უფლებებს; ჩემს საფრანგეთში არ ყოფნის დროს მომხდარ „უბედურობასთან" საერთო არა მაქვს რაო...—და ავიწყდებოდა, რომ ეს მისგან „ბოძებული" კონსტიტუცია მან **ძალაუნებურად „უბოძა"** ხალხს...

რას უთმობდა ლუდოვიკო XVIII საფრანგეთის ხალხს? ანიჭებდა თანასწორობას კანონის წინაშე, პიროვნების და სარწმუნოების თავისუფლებას, პრესსის თავისუფლებას, საკუთრების ხელუხლებლობას. მეფე კი სახელმწიფოს ბატონად რჩებოდა, იგი იყო ჯარების მთავარსარდალი, ომიანობის დამწყები და ზავის ჩამომგდები, სავაჭრო ხელშეკრულობის შემდგენელი, მეფე სცემდა სხვადასხვა ბრძანებას და განკარგულებას, რომელიც შეიქმნებოდა საჭირო კანონის სისრულეში მოსაყვანად და სახელმწიფოში უშიშროების ჩამოსაგდებად. სახელმწიფოში ორი პალატა უნდა ყოფილიყო: 1) პერების პალატა და 2) დეპარტამენტისაგან არჩეულ წარმომადგენელთა პალატა. პირველში წევრებად იყვნენ სამეფო გვარეულობის წარმომადგენელნი და ის პირები, რომელთაც თვითონ მეფე დაასახლებდა. მეორეში—ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლები. ამათ არჩევანში მონაწილეობას იღებდნენ ისინი, ვისაც საკმაოდ დიდი ქონება ჰქონდათ. საარჩევნო უფლება არ იყო საყოველთაო. მეფეს ორივე პალატისაგან თანხმობის მიუღებლად არც ერთ გადასახადის შემოღება არ შეეძლო სახელმწიფოში. მეფეს შეეძლო დაეთხოვნა ის პალატა, რომელიც მას არ ეთანხმებოდა რაშიმე, მაგრამ **ვალდებული** იყო სამი თვის განმავლობაში მოეწვია ახლად არჩეული წარმომადგენლები. კონსტიტუციის ძალით აკრძალული იყო განსაკუთრებულ სასამართლოების შემოღება, პოლიტიკურ დამნაშავეების ადმინისტრატიულ წესით გასამართლება.

ეს კონსტიტუცია საფრანგეთს ისეთ თავისუფლებას ანიჭებდა, როგორიც იმ დროს ევროპის არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ ჰქონდა. მაგრამ ამ კონსტიტუციის ძალით უფრო მოგებული რჩებოდა ბურჟუაზია, რომელსაც ქონება ჰქონდა და ამიტომ კენჭიც წარმომადგენლების ასარჩევად. და აი მაშინ აშკარად გამოჩნდა ის წინააღმდეგობა, რომელიც აშორებდა ერთმანეთისაგან ხალხს და ბურჟუაზიას და მოსალოდნელი იყო, რომ ეს წინააღმდეგობა მალე გამოიწვევდა მათ შორის ბრძოლას. მაგრამ ბრძოლის მაგიერად ორივე მოწინააღმდეგე ისევე შეერთდა..., ამისი მიზეზი ის იყო, რომ მთავრობამ თავისი დაპირება არ შეასრულა, გამოცხადებულ კონსტიტუციის დარღვევა თვითონვე დაიწყო. არისტოკრატიის ზოგიერთი წარმომადგენელი კონსტიტუციის მოსპობასაც ითხოვდა და თვითმპყრობელობის აღდგენას სცდილობდა. მეფის ძმა, გრაფი დ'არტუა მათი მომხრე იყო და თვით მეფეც გულში მათ სურვილის შესრულებას ნატრობდა.

არისტოკრატიის წარმომადგენლები აშკარად ამბობდნენ:—კონსტიტუცია მეფემ „უბოძა" ხალხს და მეფესვე შეუძლიან მისი ჩამორთმევაო, მეფეს შეუძლია ხალხის ჩასაჩუმებლად იხმაროს ძალა, და დაიმორჩილოს ქვეყანაო. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნაპოლეონი ხელმეორედ დაბრუნდა საფრანგეთში და ისევე გაძევებული შეიქმნა, როდესაც საფრანგეთის სამეფო გვარეულობა რევოლუციის შემდეგ ხელმეორედ გაბატონდა სახელმწიფოში, რეაქცია უფრო ძლიერი შეიქმნა.

თვითმპყრობელობის მომხრეებმა ძალა იგრძნეს და ახლა სამაგიეროს უხდიდნენ იმათ, ვინც რევოლუციის დროს და რევოლუციის შემდეგ სცდილობდა არისტოკრატიის მტრობას,—სდევნიდნენ ყველაფერს, რაც იყო „ახალი" და ტერორზე ამყარებდნენ სახელმწიფო საქმეების მსვლელობას.

ამ ტერორმა და ძალმომრეობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში და მეფე იძულებული შეიქმნა დაეთხოვნა პალატა, სადაც რეაქციის ყველა მომხრეს მოეყარა თავი. იწყება ბრძოლა, განახლების მოტრფიალენი ებრძვიან რეაქციის მომხრეებს, ხალხის განთავისუფლების მსურველნი—თვითმპყრობელობას...

მეფე ლუდოვიკო XVIY 1824 წ. მოკვდა ისე, რომ ამ ორ მოწინააღმდეგე ძალის შერიგება ვერ მოახერხა, თავის მიცემულ კონსტიტუციასაც ვერ მოუპოვა საჭირო სიმკვიდრე და მის მაგიერად ტახტზე ავიდა მისი ძმა კარლი X სახელით,—ადამიანი, ხალხის განთავისუფლების აშკარა მტერი, თვითმპყრობილობის აღდგენის მოსურნე.

ამ ახალ მეფის მოქმედებამ ისედაც უკმაყოფილო ხალხი კიდევ უფრო გააბრაზა. ამიტომ, 1830 წელს, როდესაც მთავრობის ძალმომრეობა უკიდურეს წერტილამდე მივიდა, ხალხმა ვეღარ მოითმინა თავის მონობა, აჯანყდა, გადააყენა მეფე...

—*.

ლიციაში უნდა მიიღონ მსურველებმა. ვისაც ნებართვა არ ექნება, **ველოსიპედი პოლიციას უნდა ჩააბარონ** შესანახად. თუ ვინმემ უბილეთოდ გაბედა ველოსიპედით სიარული, პოლიცია ველოსიპედს წაართმევს და სახაზინო საკუთრებად ჩასთვლის (რ. ვ.).

◆ ბალაშოვის თავად აზნაურთა წინამძღოლი, თავადი ლვოვი ბალაშოვში მომხდარ ამბებს ასწერს „რუს. ვედ.“-ში და თავის თავგადასავალს ასე ათავებს: «გუბერნატორი წინ მიგვიძღოდა ეტლით, უკან კაზაკები მოგვდევდნენ ცხენებით. კაზაკებს უკან ყვირილით და ქვების სროლით ხალხი მოსდევდა. მე და ერთი დედაკაცი ეტლში ვისხედით და გუბერნატორს მივდევდით. ცოტა ხნის შემდეგ, კაზაკები მოგვიახლოვდნენ, გარს შემოგვეხვივნენ და ორივეს, მეც და მანდილოსანსაც, მათრახებით ცემა დაგვიწყეს. ორივენი დაგვასისხლიანეს. როცა სადგურზე მივედი, გუბერნატორს ვუამბე, მაგრამ იმან არაფერი მითხრა. **ასე სცემეს თავად-აზნაურთა წინამძღოლს**, ბიუროკრატიის ერთ ბურჯთაგანს (რ. ვ.).

◆ ბალაშოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ლვოვმა **საჩივარი აღძრა** „მოსკ. ვედომ.“-სა და „დენ“-ის რედაქტორთა წინააღმდეგ იმის გამო, რომ ამ ორ გაზეთში ისეთი კორესპონდენციები დაიბეჭდა ბალაშოვის ამბების შესახებ, რომელნიც შეურაცხყოფას აყენებენ ლვოვს (რ. ვ.).

◆ **რუსეთის ფინანსიურ პოლიტიკის მაგალითი.** შინაურ სესხის გამოცემის დროს ფინანსთა სამინისტრო ყოველთვის ათ და ას მილიონ მანათის ობლიგაციებს შემნახველ კასებს აღებინებდა. ამ პოლიტიკას ის მოჰყვა, რომ ომის გამო ობლიგაციების ფასი დაეცა და კასსებმა საერთოდ ამ ერთ წელიწადში 100 მილიონი მანათი იზარალეს. ეს ზარალი ძალაუნებურად ისევ ხაზინას უნდა დააწვეს კისერზე (რ. ვ.).

◆ კრიზისის გამო ვარშავის მრავალმა მეფაბრიკემ **საქმეები შეაჩერა.** ყოველ კვირა მარტო ვარშავაში რამდენიმე ფაბრიკა და სამრეწველო სავაჭრო დაწესებულება იკეტება (ს. ო.).

◆ ყუმბარით დაჭრილ ბელოსტოკის პოლიცმეისტერს პულენკინს ექიმებმა **ფეხი მოსჭრეს**

◆ იმის გამო, რომ უკანასკნელ დროს ძალიან გახშირდა **პატიმართა აჯაყება**, მთავრობა საპყრობილეთა რევიზიას აპირობს (ს. ო.).

◆ სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ხაზინა რუსეთის გემთა საზოგადოებას ორი წლის განმავლობაში **ფულით დახმარებას აღმოუჩენს** და ყოველ წლივ 655,084 მან. და 60 კაპ. მისცემს (ნ. დ.).

◆ პორტ-არტურის დამცველის გენ. **სტესელის მეუღლემ პეტერბურგში საკუთარი სახლი იყიდა** 240,000 მანათად (რ. ს.).

ფერშალთა მდგომარეობა

(წერილი რედაქციის მიმართ).

იმ დროს, როდესაც დიდმა და პატარამ გამოიღვიძა და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობა მოითხოვა, იმ დროს ეს დაუღალავი და მშრომელი ჩვენი მთელი ფერშალთა კორპორაცია სადათას ძილს მისცემია, თითქო ისინი ყოვლისფრით კმაყოფილნი იყვნენ, თითქო იგინიც არ იყვნენ დამცირებულნი და გათელილნი დღევანდელ წესწყობილებაში.

თუ რამდენი ძალა, ენერგია და კაცთ-მოყვარეობა აქვთ ფერშლებს, ამაზე შეგნებულ საზოგადოებასთან ლაპარაკი, მე მგონია, მეტია, რადგანაც ყველასთვის ცხადია ის დიადი კაცთ-მოყვარეობა და შრომა, რომელსაც იჩენენ ფერშლები ომიანობის და სენის გაჩენის დროს. მართლაც, ხოლერისა ან სხვა გადამდებ სენის გაჩენის დროს, ფერშალს მოსვენება არა აქვს,—მირბის ერთი სახლიდან მეორე სახლში, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, ნახულობს ავადმყოფებს, აწვდის, რაც საჭიროა, და შემდეგ, თუნდაც შუაღამე იყოს, გარბის სხვა სოფლებში. მისთვის ერთია დღე და ღამე, ის შრომობს განუწყვეტლივ. თუ სენის გაჩენის დროს ფერშლები ასეთ ჯაფა-წვალებას ეწევიან, არც მშვიდობიანობის დროს არიან გულზე ხელდაკრეფილნი. ავიღოთ, მაგალითად, სოფლის ქსენონები და ქალაქებში სამკურნალოები და ვნახოთ, რას აკეთებენ ექიმებთან და უექიმოდ ფერშლები. სოფლის ქსენონებში ფერშლები ხშირჯერ ექიმის დახმარებას ასრულებენ; ექიმთან ერთად კი ისინი ვალდებულნი არიან დაამზადონ (სანამ ექიმი ავადმყოფების მიღებას შეუდგებოდეს) შესახვევი მასალა, სხვადასხვანაირი ფხვნილები და წვეთები, რომელსაც ექიმი ex tempore იწერს, და შემდეგ უნდა შეუდგნენ ექიმის რეცეპტებით წამლების მომზადებას. დაამზადებს ფერშალი 300—500 რეცეპტს, ჩააბარებს კუთვნილებისამებრ და შემდეგ შეუდგება პატარა ოპერაციების და ჭრილობების შეხვევა-გაკეთებას, რომელიც გრძელდება საღამოს 5—6 საათამდის. ყველა ამაების შემდეგ, ფერშალი თავ-დარეტიანებული მიდის სახლში სხეულის საზრდოს მისაღებათ და მერე სოფელში უნდა ირბინოს რამე მთარულთან საბრძოლველად, ან ქსენონში წიგნების წესრიგზე მოყვანას შეუდგეს. კიდევ უარესია ფერშლების მდგომარეობა ქალაქებში, სადაც ისინი დილიდან საღამომდის და საღამოდან დილამდის ავადმყოფების მოვლა-დარიგებას უნდებიან.

დაუღალავი და სასარგებლო შრომა ფერშლებისა ყველა მცოდნე პირთაგან არის აღიარებული მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ, ფერშლები, თვით-მოქმედების უფლებას მოკლებულნი ვართ. კანონის ძალით, ფერშლებს არ შეუძლიანთ არც წამლის გამოწერა, არც ავადმყოფის მიღება და გაშინჯვა და არც რაიმე უბრალო ოპერაციის გაკეთება, გარდა წურბლებისა და კოტოშების მოკიდებისა. მე თვითონ ვიცი ერთი შემთხვევა, რომელიც კარგად ასურათებს უფლება-მოკლებულ ფერშლების მდგომარეობას. სოფელ წ—ში ერთ დედა-კაცს ხარმა წელები გამოაურევინა. ექიმი ამ დროს სახლში არ იყო და ფერშალი მიიწვიეს. ფერშალმა, მართლაცდა, მოულოდნელი გამოცდილება გამოიჩინა. ჩაუწყო წელები, ამოჭკვრა ჭრილობა, როგორც წესი იყო, და ავადმყოფიც ერთ თვეში, მისი მოვლის წყალობით, განიკურნა სენისაგან. ერთმა კეთილმა ადამიანმა მოინდომა მისი დასაჩუქრება და მიმართა, სადაც ჯერ იყო, მაგრამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „კანონით ფერშალს არ ჰქონდა უფლება ასეთი საპასუხისმგებლო ოპერაცია მოეხდინაო“. და რასაკვირველია, საქმემაც უნაყოფოდ ჩაიარა. როგორც ხედავთ, კანონის ძალით, ავადმყოფი თურმე უნდა მომკვდარიყო...

რადგანაც ფერშლები მომეტებულ დროს ავადმყოფებთან ატარებენ, ამიტომ ისინი უფრო ხშირადაც სნეულდებიან და იხოცებიან. ექიმ დანდშევსკის გამოანგარიშებით, ფერშლების სიკვდილის კოეფიციენტი შეადგენს 25,89%-ს.

და ასეთ მძიმე და საჩოთათო შრომაში ფერშლები ისეთ სასყიდელს იღებენ, რომ სახსენებლადაც კი არა ღირს. საშუალო ანგარიშით, ფერშლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 190—210 მანათს!.. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ფერშლებს არა აქვთ თავისთვის არც კასსა და არც სხვა რამ თავიანთი დაწესებულებანი.

დღეს კი, როდესაც ყველანი ახმაურდნენ და ყველა მოხდომებულია აწინდელი წესწყობილება შეიცვალოს, ფერშლებს კიდევ სძინავთ და ხმას არ იღებენ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნუ თუ დრო არ არის, რომ ჩვენც გამოვიღვიძოთ და დავანახოთ იმ ზოგიერთ პატივცემულებს, რომლებიც ჩვენ „სუროგატებს“ და „პარაზიტ-დარმოდებს“ გვეძახიან, რომ ისინი თავიანთ მოსაზრებაში სცდებიან და, რომ ჩვენც საზოგადოებისათვის საჭირო ელემენტს შევადგენთ...

გიორგი ანდღულაძე.

თეატრი და ხელოვნება

სოფ. დილომი. 7 აგვისტოს, აქაურ კანცელარიის სადგომში, ქართულ სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა. ითამაშეს აზიანის „ფული და ხარისხი“ და ა. ცაგარლის „ჭკვუისა მჭირს“, ორთავე პიესამ მწყობრად ჩაიარა. განსაკუთრებით ხალხის ყურადღება დაიმსახურა პ. დადვაძემ (არტემა), რომელიც „გაშა“-ს ძახილითა და ტაშით იქმნა დაჯილდოვებული. კარგად შესრულეს თავისი როლი ქ-ნმა ხარიშვილმა (სოფიო) და ქ-ნმა არაგველმა (მაშო), ქ-ნი გუდაურიც მშვენიერი გამდელი იყო. ბ-მა ბერიშვილმა საუცხოვოდ დაგვისურათხატა ლოთი, ქარაფშუტა ქართველი კნიაზი. დანარჩენნიც პიესის ასრულებას ხელს უწყობდნენ, გარდა ა. მეტრეველისა (ბოქაული), რომელმაც როლი სრულებით არ იცოდა. დარბაზი ხალხით იყო სავსე.

ძალიან დაგვავალებენ სცენის მოყვარენი, თუ კიდევ რამდენსამე თანამედროვე პიესას დასდგამენ.

ს.—ორი.

კვირას, 7 აგვისტოს, რკინის გზის თეატრში, პეტერბურგის სალიტერატურო—სამხატვრო თეატრის არტისტის და ცნობილ დრამატურგის ზ. ხ. ოსეტროვის რეჟისორობით, გამართულ იქმნა სახალხო საქველ-მოქმედო წარმოდგენა რუსულს ენაზე. თამაშობდენ სცენის მოყვარენი. წარმოადგინეს ბ. ოსეტროვისავე სამი თითო მოქმედებიანი კომედიები: „უნდერშა“, „საპყრობილეში“ და „მანია გროსს“. უკანასკნელში გამოყვანილია კახელი თავადი, რომელიც სცდილობს მზითვიანი ქალის შერთვით ბანკში დაგირავებული მამული გამოისყიდოს და უშრომლად გემოზე იცხოვროს. ქალი (მანია გროსს) თავადს ეშმაკობას მიუხვდება და ჩვენ კნიაზს ყინულზე გააცურებს, ანუ როგორც თვითონ ამბობს, ОСТАВЛЯЕТЪ СЪ ДЛИННЫМЪ НОСОМЪ. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ყველაზე უკეთ, რასაკვირველია, თვით ავტორი ბ. ოსეტროვი თამაშობდა. მან ხელოვნურად დაასურათა უვიცი, საკუთარ ინიციატივას, საკუთარ აზრს მოკლებული რუსის ნასალდათარი. კარგად თამაშობდა, აგრეთვე ქ-ნი პავლოვისა. ლაპარაკსა და მიხვრა-მოხვრაში, ბუნებრივობა, საქმის დაკვირვება და ცოდნა ეტყობოდა. კარგები იყვნენ აგრეთვე ქ-ნნი კოკოშკინა, ოკუნევიჩისა და განსაკუთრებით კარგი იყო ქ-ნი რუსსო, რომელთაც სასცენო ნიჭი ეტყობათ. დანარჩენებიც პიესის წარმოდგენას ხელს უწყობდნენ.

დამსწრე.

კორესპონდენცია

კახეთი, 4 აგვისტო. წელს კახეთის მცხოვრებთ ადრე შემოაკლდათ პური. ჯერ ყანაში თვალი არ იყო შესული, რომ სოფლის უმრავლესობას თელავის ყანთარზე მოუხდათ ფქვილის ყიდვა.

პურის მოსავალს წელს ძრიელ კარგი პირი უჩანს და გამოსავლისაც არ ემდურებიან. ზოგმა ყანები ადრეულად მოიმკო და გალეწა კიდეც, რადგან პური უჭირდათ.

სახაზინო სოფლებში მკა-ლეწვამ ჩვეულებისამებრ ჩაიარა, მაგრამ იმ სოფლებს კი, სადაც თავად-აზნაურობა სცხოვრობს, დიდი მღელვარება დატეხათ, მებატონეები ნათახალს თხოულობენ, გლეხები, ერთობის ძალით, ნათალს სთავაზობენ, ვინაიდან მიწა იმას ეკუთვნის, ვინც მუშაობსო. ზოგ სოფელში მორიგდნენ, ზოგში კი ვერა.

2 აგვისტოდამ სოფ. ვანთაში, სადაც თ. ჯაფარიძეები სცხოვრობენ, ეგზეკუცია ჩააყენეს.

ინკოგნიტო.

ქ. თელავი, 7 აგვისტო. შეიძლება მკითხველსაც მოეკრას ყური, რომ მთელი ზაფხული თელავსა და მის მაზრაში დაბეჯითებით ამბობენ: ლეკები თელავზე და კახეთზე თავდასხმას აპირობენო.

ჩვენდა საბედნიეროდ და ბნელ ძალთა სამწუხაროდ, ეს ხმები მტკნარი სიცრუე გამოდგა. მაგრამ შინაურმა „ლეკებმა“ კი საქმე გაგვიჭირეს. ჭალაში, ალაზნის გზაზე, თეთრ წყლებისკენ და ქვემო მხარეს, ვიღაც ვაჟბატონები დანავარდობენ, უხვდებიან მგზავრებს და სძარცვავენ. ესენი ღამე არ იწუხებენ თავს, დღისით გამოდიან შარა გზაზე და ვინც შეხვდებათ, გააჩერებენ ხოლმე, ყველაფერს თავაზიანად ართმევენ და ისტუმრებენ. პოლიციაც კი მათ წინააღმდეგ უძლურია, თუმცა რამდენიმე ბოროტ-მოქმედი უკვე შეიპყრეს.

1 აგვისტოს, როცა საუფლისწულო მამულის მოხელეს, ოვჩარენკოს, წინანდლიდამ ფული მიჰქონდა თელიანში მუშების ჯამაგირის დასარიგებლად, სოფლის ბოლოს დახვდნენ ბოროტ-განმზრახველნი და თოფები დაუშინეს. თვით ოვჩარენკოს მძიმედ დაუჭრიათ თავში, ხოლო მეეტლე მსუბუქად. მერე გაუძარცვავთ და, რაც ფული მიჰქონდა, სულ წაურთმევიათ. წართმეულის ფულის რაოდენობა ჯერ სწორედ არ იციან. ბოროტ-მოქმედნი ჯერ ვერ უპოვნიათ.

ინკოგნიტო.

ქიზიყი, 8 აგვისტო. შვიდ აგვისტოს სოფელ ქვემო-მაჩხანში შესდგა კრება სამკურნალო-ქსენონის კომიტეტის წევრთა. კრებას გარეშე საზოგადოებაც ბლომად დაესწრო. აქამდის თუ საავადმყოფოს ბედ-იღბალი ქიზიყელთ გულზე არ ეხებოდათ და მთელი მოვლა-პატრონობა და მზრუნველობა ქსენონისა მთავრობის მიერ დანიშნულ კომიტეტის თავმჯდომარის ხელში და სინაბრას იყო მიტოვებული, ახლა შეიგნეს ქიზიყელებმაც, რომ ამას იქით საქმის ასე დატოვება არ შეიძლება, რომ ხალხის ოფლით მონაგარ ფულებით დაარსებული დაწესებულება ხალხისავე ხელში უნდა იყოს, უკეთუ უნდათ ჭეროვანი სარგებლობა მოჰქონდეს ხალხისათვის ამ დაწესებულებას. კრების დაწყებიდანვე ის აზრი გამოითქვა, რომ რადგანაც ქსენონი უკიდურეს მდგომარეობაშია ჩაყენებული და მის მოწესრიგებაში მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული, ამიტომ არა თუ ყველას მიეცეს ხმის უფლება, თავმჯდომარეც სხვა ამოირჩიონო. თუმცა დანიშნული თავმჯდომარე კომიტეტის ბოქაული ბ. რატიშვილი წინააღმდეგი იყო ამისა და წამდაუწუმ გაიძახოდა თავმჯდომარის უფლებას არავის დავუთმობო, მაინც ვერ გასჭრა იმისმა უბიდო საბუთებმა და თავმჯდომარის სავარძელი დაატოვებინეს და სხვა გარეშე, ნიკო ლაპაშვილი ამოირჩიეს.

კრებაზე ნათლად გამოირკვა აწინდელი უნუგეშო მდგომარეობა ქსენონისა და ის, თუ რამ მიიყვანა ასეთ უკიდურესობამდის ქსენონის საქმე. ამიტომ კრებამ დაადგინა —ამიერიდან ძირიანად შეიცვალოს მთელი მართვა-გამგებლობა ქსენონისა. რადგანაც ქსენონს ინახავს საზოგადოება, ამიტომ საზოგადოების-მიერ ამორჩეულნი უნდა განაგებდნენ ქსენონის ბედ-იღბალს, მის ქონებრივ მდგომარეობასაო.—ამასთანავე ექიმიც ხალხმა უნდა აირჩიოს და მოიწვიოს, წესდებაც ამისდა კვალად უნდა შესდგესო. ყოველივე [illegible] და მზრუნველობა პოლიციისა მოსპობილ იქმნეს ქსენონის საქმეში, ვინაიდგან ამ წესმა გამოუთხარა ძირი ხალხის სასარგებლო დაწესებულებასაო. ხალხის, მიერ ამორჩეულნი, რომელთა ხელშიაც გადავა სრული გამგებლობა ქსენონისა, თვითონვე ამოირჩევენ თავიანთ შორის თავმჯდომარეს და მოვალენი იქნებიან თვიდათვე თავის მოქმედების ანგარიში წარუდგინონ თავის ამომრჩევ ხალხს. ამასთანავე დაადგინეს თავისუფალი წოდება გაუთანასწორდეს გლეხკაცობას, როგორც ქსენონის შესანახ ხარჯებში, ისე ქსენონითა და მკურნალით სარგებლობაში.—ბოლოს ამოირჩიეს კომისია, რომელმაც ანგარიში უნდა ჩამოართვას ყოფილ თავმჯდომარესა და მკურნალს და მომავალს კრებას წარმოუდგინოს მთელი სურათი ქსენონის წარსულ მართვა-გამგებლობისა.

ქ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 აგვისტო.

პორტსმუტი, 10 აგვ. დღეს დილით კონფერენცია დანიშნულ დროზე გაიხსნა.

ტოკიო, 10 აგვ. 6 აგვისტოს პორტ-არტურში კონტრ-ნაღმოსანი „სილნი“ ამოიღეს.

პორტსმუტი, 10 აგვ. დილის კრებას მთავარი წარმომადგენელნი კომურა და ვიტტე არ დაესწრნენ და ზოგიერთი უთანხმოება ოქმის შედგენის შესახებ მდივნებს მიანდვეს, 2 საათზე ხელმეორედ დაიწყო კრება და საათ-ნახევარი გაგრძელდა, შემდეგი კრება შაბათისთვის გადაიდო. დღეს წარსულ კრებების ოქმებს მოაწერეს ხელი. თუ ორ უმთავრეს მუხლში წარმომადგენელნი ვერ შეთანხმდნენ, კონფერენცია მოისპობა. ზავის ბედი პეტერბურგსა და ტოკიოდან მოსულ პასუხზეა დამოკიდებული. იაპონელების მიერ ახლად შემუშავებულ პირობებზე ვიტტემ სთქვა, ეგ იგივე ძველი პირობებია, მხოლოდ ახალ ფორმით არის გამოთქმულიო, და განაცხადა, რომ რუსეთი ომის დანახარჯს არ გადაიხდისო. კრება შაბათამდის ვიტტეს თხოვნით გადაიდო. შაბათს ვიტტემ წერილობითი პასუხი უნდა წარუდგინოს კომურას. ხმა დადის, კომურა თანახმაა, რომ რუსეთმა ნახევარ სახალინში იაპონიას 600 მილიონი დოლლარი (1200 მილ. მან.) გადაუხადოს; სამაგიეროდ იაპონია აღარ მოითხოვს სანეიტრალო სახელმწიფოებში მყოფ რუსეთის გემებსა და შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ფლოტის შეზღუდვას. დღევანდელ გაზეთების აზრით, ზავი შესაძლებელია.

პორტსმუტი, 10 აგვ. კრება 2 საათსა და 30 წუთს განახლდა. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ დღევანდელი დილის კრება გადაიდო იმის გამო, რომ ოქმი სწორედ არ იყო შედგენილი.

გუნჯულინი, 10 აგვისტო. როგორც ისმის, იაპონელებმა ლიტძატაისა და მდინარეების წინხესა, ხუნხესა და გუნიანხეს გასწვრივ თავი მოუყარეს 10,000-მდე კაცს და, როგორც ეტყობათ, უნდათ რუსებს შეუტიონ ჩრდილოეთ-დასავლეთის გზით.

ლონდონი, 11 აგვისტო. მაღალ-გავლენიანმა რუსმა გაზ. „ტაიმსის“ პორტსმუტში მყოფს კორესპონდენტს აუწყა, რუსეთი იმ ფასს არ მისცემს სახალინში ან მის ერთ ნაწილში იაპონიას, რასაც უკანასკნელი თხოულობსო, და დაუმატა—თუ ასეთია ტოკიოდან უკანასკნელი სიტყვა, ტოკიომ ისიც იცის, რაც იქმნებაო უკანასკნელი სიტყვა პეტერბურგიდან. იაპონელებს იმედი არა აქვთ, რომ საკეთილო პასუხი მიიღონ და იმ აზრისანი არიან, რომ საქმეთა მდგომარეობა უნუგეშოაო.

ვოლცი. ღამე ივანგოროდში, როჟკის სადგურის მახლობლად უცნობებმა რკინის გზა ააფეთქეს. გზა ძალიან დაზიანდა. შეკეთების შემდეგ მიმოსვლა განახლდა.

კიევი. რადგან პრივისლიანის გზებზე მიმოსვლა შესწყდა, მატარებლები სხვა გზით მიდიან ვარშავაში.

ვარშავა რკინის გზაზე მიმოსვლა აღდგენილ იქმნა. ხვალ ქარხნები ისევ დაიწყებენ მუშაობას.

კრონშტადტი. ნაღმოსანი № 217, რომელიც ქვებს დაეჯახა და დაზიანდა, კრონშტადტში მოიყვანეს.

პეტერბურგი. ბევრი განაჩენი, სამხედრო სასამართლოების-მიერ დადგენილი ამ ბოლოს დროს, წესწყობილების გაძლიერებულ დაცვის დებულების თანახმად დადგენილი, ჯერ აღსრულებაში არ მოჰყავთ ვითომ იმ მოსაზრებით, რომ მალე ამნისტია უნდა გამოცხადდესო პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ. ამნისტია საერთო არ იქმნება.

განზრახულ რეფორმათა შორის უპირველესად ბეჭდვის თავისუფლება უნდა იყოს. კობეკოს კომისია თავის პროექტს სექტემბერში წარადგენს.

პოლიტიკური კლუბი ნოემბერში დაიწყებს მოქმედებას. უმთავრეს ყურადღებას კლუბი სახელმწიფო სათათბიროებს მიაპყრობს. ერთი ამისთანა კლუბი კიდევ არსდება და სახელად ყოველწოდებათა კლუბი ეწოდება. მისი მოქმედება ზომიერი უნდა იყოს. ამ კლუბის წევრებად მხოლოდ იმათ მიიღებენ, ვისაც სახელმწიფო სათათბიროსთვის საჭირო ცენზი აქვს.

პარიზი, 11 აგვისტო. თავ. რადოლინმა გუშინ რუვიე ინახულა და გერმანიის პასუხი აუწყა რუვიეს უკანასკნელ ნოტაზე, ეს პასუხი ახლო მომავალში წარედგინება საფრანგეთის მთავრობას.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის [illegible] ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. ს. (11 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

ზორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ივლისისათვის 1905 წლისა.

აქტივი.	მან.	კაპ.
I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). . .	17274	43
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ . .	59656	95
III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ	2193	75
IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი		
ა) უზრუნველ-ყოფილნი . . 3325—00		
ბ) არა უზრუნველ-ყოფილნი 8322—00	11647	—
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათარიგო თანხას საკუთვნონი	8740	—
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი	28535	75
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით	500	—
VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები	4268	58
IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ. .	5725	56
X. გირაოთი გაცემული სესხი:		
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . . 18544—50		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ . 77414—00		
გ) საქონელზედ . . . . . . 22016—00		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 5833—44	123807	94
XI. გარდახდილი პროცენტები	9585	40
XII. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თან. საკუთ . .	550	04
XIII. დასაბრუნებელი ხარჯი	205	46
XIV. მოწყობა და მომართვა	2123	33
XV. კორესპონდენტები:		
ა) იმათის ანგარიშით (loro) 75005—39		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 29513—83	104519	22
XVI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ . . .	344	58
XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები	460	46
XVIII. მიმდინარე ხარჯები	8972	91
XIX. გადასატანი ჯამი	1511	23
ბალანსი	647400	59

პასივი.	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 795 წევრ. ნაღდ ფულ. შემოტ. ხვედრ ფულ. 10%-გან.	89981	—
II. სათადარიგო თანხა:	10191	25
III შემოტანილი თანხა:		
ა) მიმდინარე ანგარიშით . . . . . 224334—22		
ბ) ვადით . . . . 189685—59		
გ) უვადოთ . . . . 4342—53	418362	53
IV. გარდამავალი თანხა	3778	53
V. გარდასახდელი სარგებელი	3365	94
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა	430	60
VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §§-ის თანახმად .	729	—
VIII. გასაგზავნად მიღებული თანხა	—	—
IX. კორესპონდენტები:		
ა) იმათის ანგარიშით (loro) . . . . 25299—00		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro . . . . 68441—33	93740	33
X. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლ.	3439	34
XI. მიღებული სარგებელი	21040	86
XII. მოგება და ზარალი 1905 წლისა	100	—
XIII. წმინდა მოგება 1904 წ. . . . . . 1225—88		
XIV. გაუყოფლად დარჩენილი 1904 წ.	15	52
XV. საპენსიო ფონდი საზოგად. მოსამსახურეთათვის	1000	—
ბალანსი .	647400	59
პასუხის-მგებლობა 765 წევრ. 10%-იან შემოსატანს გარდა	809829	00
საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება . .	3800	—
თამასუქები საკომისიოდ	8569	10
უზრუნველ-ყოფილი კორესპ. ანგარიშით	2930	00

Дозволено цензурою, Тифлисъ, 11 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5